

პრაქტიკის კვლევა

გაბმულად ლაპარაკის უნარის გაუმჯობესება საბაზო საფეხურზე
ქართული, როგორც მეორე ენის სწავლებისას

სსიპ ახალქალაქის მუნიციპალიტეტის სოფელ დადეშის საჯარო სკოლის
ქართულის, როგორც მეორე ენის მასწავლებლის ცირა მამაცაშვილის პრაქტიკის კვლევა

სამცხე-ჯავახეთი

2019 წელი

ს ა რ ზ ე ვ ი

შესავალი.....	2
თავი I	
1.1 ინფორმაცია სკოლის შესახებ, სამიზნე ჯგუფი.....	4
1.2 საკვლევი საკითხის მიმოხილვა და მისი აქტუალობის დასაბუთება	5
თავი II	
2.1 ლიტერატურის მიმოხილვა	5
თავი III	
3.1 კვლევის მთავარი კითხვა, ქვეკითხვები	15
3.2 პრობლემა, პრობლემის გამომწვევი სავარაუდო მიზეზები და საკვლევი საკითხის იდენტიფიცირება	16
3.3 კვლევის მიზანი , კვლევის ამოცანები	18
3.4 კვლევის ვადები, კვლევის რისკები	20
თავი IV	
კვლევის მეთოდების განხილვა.....	21
თავი V მონაცემთა ანალიზი	25
თავი VI ინტერვენცია	30
ინტერვენციის შედეგები და ანალიზი.....	36
მიგნებები და რეკომენდაციები	36
კვლევის ნაკლოვანებები	37
დასკვნა	37
რეფლექსია ჩატარებულ კვლევაზე	38
ბიბლიოგრაფია	39
დანართები	40

შესავალი

წინამდებარე კვლევის ანგარიში ასახავს ჩემ მიერ 2018-19 სასწავლო წელს განხორციელებული პრაქტიკის კვლევას სსიპ ახალქალაქის მუნიციპალიტეტის სოფელ დადეშის საჯარო სკოლაში, მე-7 კლასში არსებული პრობლემების იდენტიფიცირებისა და მათი გამომწვევი მიზეზების შემცირებისათვის.

კვლევის მიზანი იყო გაბმულად ლაპარაკის უნარის გაუმჯობესება საბაზო საფეხურზე ქართული, როგორც მეორე ენის სწავლებისას.

კვლევაში მონაწილეობა მიიღო მე-7 კლასის რვა მოსწავლემ. ვფიქრობ, აღნიშნულ საკითხზე პედაგოგიური კვლევის ჩატარების შედეგად მიღებული რეკომენდაციები და რჩევები სასარგებლო იქნება სკოლის სხვა მოსწავლეებისთვის, ჩემი კოლეგებისთვის და საკითხით დაინტერესებული პირთათვის.

სკოლაში ვმუშაობ 2013 წლიდან. სკოლა სომხურენოვანია. მოსწავლეები ეროვნებით სომხები არიან. მათ არ იციან ქართული ენა სკოლაში მოსვლამდე. ამიტომ სწავლების პროცესში მრავალი მოსალოდნელი თუ გაუთვალისწინებელი პრობლემა იჩენს ხოლმე თავს. ერთ-ერთი მათგანი და უმნიშვნელოვანესი არის ქართულ ენაზე გაბმული ლაპარაკის პრობლემა. სამოქალაქო ინტეგრაციის პროცესში ლაპარაკის კომპეტენციას წამყვანი როლი გააჩნია. მე კი ძალიან დიდი შრომა მჭირდება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული შედეგების მისაღწევად.

სხვა სკოლების მსგავსად, აქაც არიან მოსწავლეები, რომლებსაც ქართულ, როგორც მეორე ენაში აქვთ გარკვეული მიღწევები კონკრეტულ კომპეტენციებში-წერაში, კითხვასა და მოსმენაში, მაგრამ გაბმული ლაპარაკის უნარის განვითარება რჩება აქილევსის ქუსლად.

გადაწყვეტიტე, გამომეკვლია ქართულ ენაზე გაბმული ლაპარაკის პრობლემის მიზეზები და მეპოვნა გადაჭრის გზები და საშუალებები. დაველაპარაკე პედაგოგებს, რომლებიც ამ კლასში ასწავლიდნენ ქართულ ენას წინა წლებში და ახლა სხვა კლასებში მუშაობენ. **კვლევის დროს გამოვიყენე შემდეგი მეთოდები:** კვლევის თვისებრივი მეთოდი (ფოკუს-ჯგუფი, ფოკუსირებული და შერჩევითი დაკვირვება) და რაოდენობრივი მეთოდი

(დახურული და ღია ანკეტირება);
დავგეგმე ინტერვენციები, რისთვისაც განვახორციელე შემდეგი აქტივობები:
ა) კითხვარების შევსება (ექვსი თვის განმავლობაში); ბ) ჯგუფის შექმნა; გ) ჯგუფური მუშაობები.

კვლევის შედეგები: კვლევის შედეგად მიღებული მონაცემების ანალიზისა და განხორციელებული ინტერვენციების საფუძველზე მივიღეთ შემდეგი შედეგი: ამაღლდა მოსწავლეთა მოტივაცია, გაუმჯობესდა მათი გაბმულად ლაპარაკის უნარი ქართულ ენაზე, გაიზარდა მოსწავლეთა ჩართულობა სასწავლო პროცესში. მათ უკეთესად შეძლეს ნასწავლი ლექსიკური ერთეულების გამოყენება ზეპირი კომუნიკაციის დროს და აქტიურად ჩაერთვნენ დიალოგებში არა მხოლოდ სასწავლო მიზნით, არამედ სკოლის გარეთ ენის პრაქტიკული გამოყენებისა და სარგებლობის თვალსაზრისითაც .

დასკვნა: გაბმულად ლაპარაკის უნარის განვითარებას ხელს უშლის და აფერხებს შესაბამისი ცხოვრებისეული პრაქტიკული გარემოს არარსებობა, სასკოლო სახელმძღვანელოებში ამ უნარის განვითარებისათვის საჭირო და აუცილებელი თემატიკისა და მასალის დეფიციტი. გამოსავალი ამ სიტუაციიდან არის შემდეგი: მასწავლებელმა მოსწავლეებს შესთავაზოს ავთენტური საკომუნიკაციო სიტუაციები, საკლასო ოთახში შექმნას ცხოვრებისეულთან, რეალურთან, ბუნებრივთან მიმსგავსებული გარემო, ყოველდღიურად ინტენსიურად გამოიყენოს გაბმულად ლაპარაკის განვითარებაზე ორიენტირებული ეფექტური მეთოდები. ასეთი მიდგომა იძლევა საშუალებას, მოსწავლეებმა მეტი სიხშირით გამოიყენონ შესწავლილი სიტყვები და ფრაზები, განივითარონ გაბმული ლაპარაკის უნარი და შეძლონ თავისუფლად საუბარი.

საკვანძო სიტყვები: პასიური ლექსიკის გააქტიურება, გაბმულად ლაპარაკის უნარის განვითარება, ზეპირი ინტერაქცია, საკომუნიკაციო სიტუაციები, სიმულაციები, მოსწავლეთა ჩართულობის გაზრდა, ცოდნის დონის ამაღლება, კითხვარების შევსება, ჯგუფური მუშაობის ფორმები, ეფექტური სწავლების სტრატეგიები.

თავი I

1.1 მოკლე ინფორმაცია სკოლის შესახებ

საქართველოში, სამცხე-ჯავახეთის რეგიონში ახალქალაქის მუნიციპალიტეტი ეთნიკურად სომეხი მოსახლეობით ყველაზე კომპაქტურად დასახლებული რაიონია. ჩემი მოსწავლეებიც ეთნიკურად სომეხები არიან, ქართული ენა არ არის მათი მშობლიური ენა და, სამწუხაროდ, სკოლის გარდა(აქაც იგულისხმება ქართული, როგორც მეორე ენის გაკვეთილი, წრის მუშაობა, სხვადასხვა ღონისძიებებში მონაწილეობა) მათ არ ეძლევათ ქართულ ენაზე კომუნიკაციისა და ურთიერთობის შესაძლებლობა.

სოფელი მაღალმთიან ზონას მიეკუთვნება(მდებარეობს ზღვის დონიდან 1870 მეტრ სიმაღლეზე), რაიონული ცენტრიდან, ახალქალაქიდან(სადაც დადემელ ბავშვებს მცირეოდენად მაინც შუძლიათ გამოიყენონ ქართული ენა, როგორც საკომუნიკაციო საშუალება), დაშორებულია 18 კილომეტრით, სიახლოვეს არ მდებარეობს არც ერთი ქართული სოფელი, რომ დადემელ ბავშვებს ჰქონდეთ ქართული ენის მატარებელ ბავშვებთან ურთიერთობისა და ქართული ენის, როგორც საკომუნიკაციო საშუალების გამოყენების შესაძლებლობა. სოფელ დადემის გარშემო მხოლოდ სომხური სოფლებია.

სკოლა, რა თქმა უნდა, სომხურენოვანია. სწავლობს 110 მოსწავლე. დირექტორი არის სურენ აკოპიან. სკოლაში მუშაობს 26 პედაგოგი, მათგან ორია უფროსი მასწავლებელი, დანარჩენი პრაქტიკოსი მასწავლებელია. 26 პედაგოგიდან ქართულად სწორად და გამართულად საუბარი შეუძლია მხოლოდ სამს, გასაგებად საუბარი შეუძლია ორს, ა2 დონესთან მიახლოებული საუბარი(მეტნაკლები განსხვავებებით) შეუძლია ექვსს, დანარჩენი 15 პედაგოგი ცდილობს, შეისწავლოს ქართული ენა, როგორც საკომუნიკაციო საშუალება. მასწავლებელთაგან(რომლებმაც ქართული ენა არ იციან) იმავდროულად მოსწავლის მშობელი არის ექვსი, ბებია ან ბაბუა არის ხუთი პედაგოგი.

მოკლე ინფორმაცია მეშვიდე კლასის შესახებ

სსიპ ახალქალაქის მუნიციპალიტეტის სოფელ დადემის საჯარო სკოლის მეშვიდე კლასში სწავლობს 8 მოსწავლე, 3 ვაჟი, 5 გოგონა. არ არის სსსმ მოსწავლე. კლასი საშუალო სტატისტიკური მოსწრებისაა: 2 მოსწავლე ძნელად აღწევს ესგ-ს სტანდარტების მოთხოვნებს, სამი მოსწავლე საშუალო მონაცემებით და სამიც მაღალი მონაცემებით

გამოირჩევა. მოსწავლეები აქტიურად ერთვებიან სხვადასხვა სახის სასწავლო აქტივობებში. მშობლები ინტერესდებიან თავიანთი შვილების წარმატებებით ქართულ, როგორც მეორე ენაში. პირად საუბრებში მშობლები ასევე გამოთქვამენ წუხილს, რომ ვერ ეხმარებიან შვილებს საშინაო დავალების შესრულებაში ქართული ენის უცოდინრობის გამო.

1.2 საკვლევი საკითხის მიმოხილვა და მისი აქტუალობის დასაბუთება

მე-7 კლასის მოსწავლეებში ქართულ ენაზე ზეპირი კომუნიკაციის დროს წარმოქმნილი პრობლემები, ამ პრობლემათა გამომწვევი მიზეზები, მათი აღმოფხვრის გზები და საშუალებები და ძირითადი ეფექტური და ეფექტიანი მიდგომების ძიება ამ მოსწავლეთა გაბმული ლაპარაკის უნარ-ჩვევების განვითარებისათვის - ასეთი მოკლე შინაარსი გააჩნია ჩემს საკვლევ საკითხს.

საკვლევი საკითხი აქტუალურია, რადგან, პირველი, რომ თავად ამ კონკრეტულ კლასში დგას აღნიშნული პრობლემა მწვავედ და მოითხოვს ეფექტიან გადაჭრას და, მეორე, რომ ჩვენს ქვეყანაში სამოქალაქო ინტეგრაციის ერთ-ერთი ყველაზე სერიოზული გამოწვევა ეროვნული უმცირესობების მიერ სახელმწიფო ენის არცოდნაა, რაც მნიშვნელოვნად აფერხებს მათ სრულფასოვან მონაწილეობას ქვეყნის პოლიტიკურ, ეკონომიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

ქართული, როგორც მეორე ენაში სწავლების მეორე ეტაპზე პრიორიტეტული ამოცანაა მოსწავლის ალაპარაკება ქართულად. (ესგ 2011–2016 (ესგ 2011–2016; გვ: -----თავი XVI; საგნობრივი პროგრამა ქართულ, როგორც მეორე ენაში; 1. ზოგადი ნაწილი). კონკრეტულ ლოკაციაზე კი აღნიშნული ამოცანის შესრულება ფერხდება.

თავი II

ლიტერატურის მიმოხილვა

საბაზო საფეხურზე ლაპარაკის უნარ-ჩვევა ერთ-ერთი ის საფუძველია, რომელზეც უნდა დაშენდეს არა მარტო ქართულის, როგორც მეორე ენის საგნობრივი მიღწევები, არამედ ყველა სხვა საგნის შედეგები..... ლაპარაკის კომპეტენცია ტრანსფერული უნარია. ერთ ენაზე ამ უნარის განვითარება გამოიწვევს სხვა ენაზეც(თუნდაც მშობლიურზეც) მის გაუმჯობესებას. ამასთან ერთად, გაბმულად ლაპარაკის უნარის განვითარება ხელს

შეუწყობს მოსწავლის ინტეგრაციას საზოგადოებაში(ეროვნული სასწავლო გეგმა 2011-2016).

დაუშვებელია მასწავლებლის მუშაობა ესგ-ს საგნობრივი სტანდარტის გარეშე. ის არის ერთგვარი მეგზური, მიმართულების მაჩვენებელი, მრჩეველი, სწორ გზაზე დამყენებელი მასწავლებლისა, თუ რა, როგორ, როდის და რატომ უნდა აკეთოს სწავლების პროცესში. ბუნებრივია, ჩემი კვლევის შემთხვევაშიც იმავე როლს ასრულებს **ქართული, როგორც მეორე ენის (VII დონე) საგნობრივი სტანდარტი**.

ქართულის, როგორც მეორე ენის სწავლების ხუთი მიმართულებიდან **ერთ-ერთი მიმართულება არის ლაპარაკი**.

ქართული, როგორც მეორე ენის წლის ბოლოს მისაღწევი შედეგები (VII დონე- მიმართულება ლაპარაკი)

ქ.მ.VII.17. მოსწავლეს შეუძლია ინტერაქციაში მონაწილეობის მიღება;

ქ.მ.VII.18. მოსწავლეს შეუძლია გაბმულად ლაპარაკი;

ქ.მ.VII.19. მოსწავლეს შეუძლია მისთვის საინტერესო თემაზე პროექტის წარმოდგენა;

ქ.მ.VII.20. მოსწავლეს შეუძლია საბაზო ენობრივი უნარ-ჩვევების ფუნქციურად გამოყენება;

ქ.მ.VII.21. მოსწავლეს შეუძლია სამეტყველო ამოცანების ეფექტურად გადაჭრის ხელშესაწყობად და ზეპირი მეტყველების უნარის გასაუმჯობესებლად სათანადო სტრატეგიების გამოყენება.

ამ შედეგების გასაზომად უნდა გამოვიყენო შემდეგი ინდიკატორები, რომლებიც, ასევე დამეხმარებიან საკუთარი პედაგოგიური პრაქტიკის კვლევის პროცესის სწორი მიმართულებით წარმართვასა და წარმატებით დასრულებაში(იმის დადგენა, თუ რა არ შეუძლია მოსწავლეს; ინტერვენციების დაგეგმვა და წარმართვა; შედეგების განსაზღვრა და შეფასება და სხვა.....)

ლაპარაკი

ქ.მ.VII.17. მოსწავლეს შეუძლია ინტერაქციაში მონაწილეობის მიღება;

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- სვამს და პასუხობს კითხვებს ნაცნობ თემატიკაზე;
- სათანადოდ რეაგირებს თანამოსაუბრეთა რეპლიკებზე;
- ახერხებს თელეფონით საუბარს ყოველდღიურ თემებზე;

- მონაწილეობს როლურ თამაშებში, სიმულაციურ სიტუაციებში(შეხვედრა ქუჩაში, მარშრუტის ახსნა, ტელეფონით კონკრეტული ინფორმაციის მოპოვება და სხვა);
- ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით გამოხატავს საკუთარ დამოკიდებულებას, პოზიციას და განმარტავს მას;
- გამოხატავს საკუთარ ემოციებს, განწყობილებას;
- აფასებს მოვლენებს, ფაქტებს, ქცევებს;
- პერსონაჟების მიმართ გამოხატავს საკუთარ დამოკიდებულებას, პოზიციას;
- ქართულ ენაზე მიმართავს მასწავლებელს, კლასელებს სასწავლო პროცესში წარმოქმნილ საჭიროებებთან დაკავშირებით.

ქ.მ.VII.18. მოსწავლეს შეუძლია გაბმულად ლაპარაკი;

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- მარტივი ენით საუბრობს მისთვის ნაცნობ თემებზე(არდადეგები, სამომავლო გეგმები, მეგობრები);
- ჰყვება თავს გადამხდარ, გაგონილ, ნანახ ამბავს;
- გადმოსცემს ნანახი ფილმის შინაარსს;
- საუბრობს საყვარელი წიგნის, ფილმის, პერსონაჟის შესახებ და ასაბუთებს თავის არჩევანს.

ქ.მ.VII.20. მოსწავლეს შეუძლია საბაზო ენობრივი უნარ-ჩვევების ფუნქციურად გამოყენება;

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- საუბრის მიზნის, ადრესატისა და კონტექსტის გათვალისწინებით ირჩევს და სათანადოდ აფორმებს შესაბამის სტილს;
- ინტერაქციის წარმართვისას შეარჩევს საკომუნიკაციო სიტუაციის შესატყვის ენობრივ კონსტრუქციებსა და ფორმულებს, კლიშეებს;
- კითხვის დასმის, თხოვნის, ბრძანებისა და გრძნობების გადმოცემისას იცავს სიტყვათა რიგს და ამ მოდალობებისათვის დამახასიათებელ ინტონაციას;
- ამბის გადმოცემისას სწორად იყენებს მოვლენათა თანამიმდევრობის გამომხატველ სიტყვებს(პირველად, ჯერ, ბოლოს, დასასრულს)(თავი XVI, საგნობრივი პროგრამა ქართულ, როგორც მეორე ენაში, VII დონე ქართულის, როგორც მეორე ენის საბაზო საფეხურის სტანდარტი, წლის ბოლოს მისაღწევი შედეგები; ესგ 2011–2016).

როგორც დავინახეთ, ლაპარაკის კომპეტენცია რამდენიმე კომპონენტისგან შედგება. მე გამოვყავი ერთ-ერთი კომპონენტი - გაბმულად ლაპარაკის უნარ-ჩვევა. ჩემი აზრით, ამ უნარ-ჩვევის ფლობის დონე მნიშვნელოვნად განსაზღვრავს მოსწავლის მოტივაციას, თავისუფლების ხარისხს, საგნისადმი დამოკიდებულებას, სწავლის ინტერესს, ინტეგრაციის ხარისხს. ამას ადასტურებს ქვემოთ წარმოდგენილი კომპონენტი თავისი ინდიკატორებით.

რას ვკითხულობთ ლაპარაკის უნართან დაკავშირებით თინათინ კილურაძისა და ეკატერინე ქუთათელაძის „ქართულის, როგორც უცხო ენის, სწავლების მეთოდის“ თეორიულ კურსში: თანამედროვე ეტაპზე ცნობილია, რომ მასწავლებელმა ნაკლები უნდა ილაპარაკოს და მაქსიმუმი გააკეთოს იმისთვის, რომ თავად მოსწავლეები ალაპარაკოს შესასწავლ ენაზე. ამას უტრირებულად თუ წარმოვადგენთ: „ ყველა ლაპარაკობს, ერთი ადამიანი დუმს“ (ქმედებაზე ორიენტირებული გაკვეთილი).

თანამედროვე მეთოდიკა ცდილობს, ლაპარაკის უნარ-ჩვევის განვითარებისთვის არამართული სასწავლო გარემოს უპირატესობები, გადმოიტანოს საგაკვეთილო, მართულ სასწავლო პროცესში ბუნებრივი, რეალური საკომუნიკაციო სიტუაციის სიმულირებით, რისთვისაც აუცილებელია გაიზარდოს შემსწავლელის ლაპარაკის წილი გაკვეთილზე. მართალია, გაკვეთილზე ლექსიკის, გრამატიკის, მოსმენისა და ლაპარაკის უნარ-ჩვევის გავარჯიშება ხდება, მაგრამ ეს სხვა სფეროა და რეალური კომუნიკაცია, რომელიც მიზნად ისახავს გარკვეული ინტენციის მიღწევას თანამოსაუბრესთან საუბარში, სხვა.

ლაპარაკის უნარ-ჩვევის, როგორც მიზნობრივი უნარ-ჩვევის განვითარება გულისხმობს ისეთ კომპეტენციას, რომლის საშუალებითაც შემსწავლელს შეუძლია გარკვეულ მიზანს მიაღწიოს უცხო ენაზე კომუნიკაციის დროს, კერძოდ, ენა გამოიყენოს ინფორმაციის გადაცემის, გაზიარებისა და ურთიერთგაგების საშუალებად. ამისთვის არსებობს დავალებათა ნაირსახეობა.

კომუნიკაციაზე ორიენტირებული გაკვეთილის მიზანს არ წარმოადგენს ენობრივი ცოდნის დაგროვება (მაგ., გრამატიკული სტრუქტურების, ლექსიკის), არამედ მთავარია ენობრივი კომპეტენციის გამომუშავება, ანუ იმისა, თუ რა უნდა შეძლოს შემსწავლელმა ენობრივად. სწორედ ამის მიხედვით იზომება ენის ფლობის დონე. შესაბამისად, საქმე გვაქვს კომუნიკაციურ ქმედებაზე ორიენტირებულ მიდგომასთან.

კომუნიკაცია კი მოიცავს როგორც ლაპარაკს, ასევე მოსმენას და ყველა დანარჩენ უნარ-ჩვევას. იშვიათად გვაქვს რეალურ ცხოვრებაში სიტუაცია, რომელშიც ლაპარაკი სხვა უნარ-ჩვევებისგან იზოლირებულად გამოიყენება.

მთავარია ცოდნა იმის შესახებ, თუ როგორ გამოვიყენოთ ესა თუ ის ენობრივი ფენომენი კომუნიკაციის პროცესში და არა თავად ენობრივი ფენომენების (ფრაზები, ლექსიკა, გრამატიკული წესი. ...) განყენებულად ცოდნა, რადგან კომუნიკაცია ყოველთვის ისახავს მიზნად გარკვეული შედეგის მიღწევას ენობრივი ქმედების შედეგად და შემსწავლელმა უნდა იცოდეს,

როგორ გამოიყენოს ნასწავლი ენობრივი ფენომენები, რათა მიაღწიოს ადეკვატურ შედეგს ენობრივი ქმედების საშუალებით ამგვარი შედეგის მისაღწევად შემსწავლელი აუცილებლად უნდა იცნობდეს ავთენტურ საკომუნიკაციო სიტუაციებს და სწავლობდეს ენას ავთენტური ტექსტებით, რათა თვითონაც შეძლოს მასთან მიახლოებული ტექსტის პროდუცირება როგორც ზეპირი, ასევე წერითი კომუნიკაციის დროს. მართალია, საგაკვეთილო პროცესში ხშირად შეუძლებელია აბსოლუტურად ავთენტური უცხოენოვანი საკომუნიკაციო სიტუაციის შექმნა, მაგრამ სიმულირებული სიტუაციების საშუალებითაც შეიძლება შემსწავლელის ავთენტური ენობრივი ქმედების გავარჯიშება. ამისთვის მთავარია, დაირღვეს ტრადიციული საგაკვეთილო ფორმატი, რომლის დროსაც უმეტესად ლაპარაკობს მასწავლებელი და მოცემულ მომენტში მასწავლებლის შეკითხვას მხოლოდ ერთი მოსწავლე უპასუხებს. გაკვეთილის პროცესშიც შეიძლება დიალოგური სიტუაციების შექმნა, რომლის დროსაც შემსწავლელები ლაპარაკობენ არა იმისთვის, რომ მოუყვნენ გაკვეთილს მასწავლებელს და პასუხი გასცენ შეკითხვაზე, არამედ ერთმანეთში საუბრობენ რომელიმე ჯგუფური დავალების შესასრულებლად, დისკუსიას მართავენ მათთვის აქტუალურ თემაზე, ცდილობენ ერთობლივი დისკუსიის შედეგად ამოიცნონ სურათზე გამოსახული სიტუაციის აზრი ან მოცემული ტექსტის შინაარსი და ასე შემდეგ.

მეტ-ნაკლებად ყველა შემსწავლელს უჭირს უცხო ენაზე საუბრის დაწყება და ამაში გაწაფვა, მას „ეზარება“ ან „ეშინია შეცდომების დაშვების“.

საყურადღებო და სასრგებლოა ავტორთა მიერ ამ პრობლემების გადაწყვეტისთვის შემოთავაზებული კატალოგი:

- დაიცავით თითოეული შემსწავლელი თანაჯგუფელების დაცინვისა და კრიტიკისგან. ყველა მონაწილემ დაცულად უნდა იგრძნოს თავი, რათა გაუქრეს ლაპარაკისა და შეცდომების დაშვების შიში.
- გაამხნევეთ შემსწავლელეები ლაპარაკისას, აუხსენით, რომ შეცდომების დაშვება ენის სწავლის განუყოფელი ნაწილია და პირიქით, ძალიან კარგია, თუ საკუთარ შეცდომებს შეამჩნევენ, რათა გააანალიზონ და გამოასწორონ მომავალში.
- ეცადეთ, სასიამოვნო სასაუბრო გარემო შექმნათ ჯგუფში ისე, რომ ენის შემსწავლელეები მუდმივად შეფასებაზე არ ფიქრობდნენ. ეს ეხება განსაკუთრებით ლაპარაკის პროცესს: თუ მოსწავლე იმაზე ფიქრობს, რომ ლაპარაკისას დაშვებული შეცდომების გამო ნიშანი დააკლდება, ის ეცდება ჩუმად იჯდეს და ნაკლები ილაპარაკოს.
- ეცადეთ, შექმნათ ენობრივი „ექსპერიმენტების“ ჩატარების ატმოსფერო ჯგუფში, რათა შემსწავლელეები შეეჩვიონ ენის დამოუკიდებლად გამოყენებას.
- გაამხნევეთ შემსწავლელეები, რათა საკუთარი აზრები და შეხედულებები გამოთქვან.
- შეეცადეთ, შემსწავლელთათვის საინტერესო სასაუბრო თემები და ტექსტები შეიტანოთ გაკვეთილზე ისე, რომ მონაწილეები დისკუსიაში ჩაერთონ და შინაარსმა უფრო გაიტაცოთ, ვიდრე ლექსიკურ-გრამატიკული შეცდომების თავიდან აცილებაზე ფიქრმა. მიეცით მათ საკმარისი დრო და თავისუფლება საკუთარი აზრებისა და შეხედულებების ჩამოსაყალიბებლად.
- მიეცით მოსწავლეებს საშუალება, იქონიონ კომუნიკაცია არა მხოლოდ ტრადიციულ ფორმატში (მასწავლებელი - მოსწავლე, მოსწავლე - მასწავლებელი), არამედ ილაპარაკონ ერთმანეთთან, იმუშაონ წყვილებში, ჯგუფებში, ერთმანეთს უთხრან შენიშვნები, მხოლოდ იმ პირობით, რომ ამ ყველაფერს ქართულად იტყვიან.
- ხშირად გაათამაშებინეთ მონაწილეებს როლური თამაშები. ეს მათ საშუალებას მისცემს, გამოიყენონ და გაივარჯიშონ სასწავლო მასალა. მიეცით საკმარისი დრო მომზადებისთვის და მიაქცევინეთ ყურადღება იმაზე, რომ მაქსიმალურად იმსახიობონ და რეალისტურად განასახიერონ დიალოგები როგორც ვერბალური, ასევე არავერბალური საშუალებებით: ჟესტებით, მიმიკით. მნიშვნელოვანია, რომ როლური თამაშები მართლა გათამაშდეს და ეს არ იყოს ფურცლიდან კითხვის

ვარჯიში, რადგან ბუნებრივ სალაპარაკო გარემოში დიალოგის დროს არავინ კითხულობს ფურცლიდან.

- ეცადეთ, რეგულარულად მოაწყოთ რეალური საკომუნიკაციო სიტუაცია კლასში უცხო „სტუმრის“ მეშვეობით, მაგალითად, უცხო პირის დაპატიჟების სახით, რომელმაც არ იცის შემსწავლელთა მშობლიური ენა და მხოლოდ ქართულად ესაუბრება მათთვის საინტერესო თემებზე. ჩამოთვლილი პუნქტების გარდა, შეიძლება მოიძებნოს სხვა სპეციფიკური ფაქტორები, რომლებიც ხელს უშლის შემსწავლელებს „ალაპარაკებაში“.

ზეპირი კომუნიკაციისთვის შესამზადებელი სავარჯიშოები:

ამ ჯგუფის დავალებებს მიეკუთვნება რეპროდუქციული დავალებები, რომლებიც გულისხმობს მოცემული მასალის გამეორებას, „იმიტაციას“. ესენია არტიკულაციის, აქტიური ლექსიკის გასავარჯიშებელი დავალებები - ეს ის ლექსიკური მარაგია, რომლის გამოყენებაც საუბარში სპონტანურად უნდა შეძლოს ენის შემსწავლელმა; დისკურსის საშუალებებზე დაფუძნებული დავალებები და სავარჯიშოები(თინათინ კილურაძე, ეკატერინე ქუთათელაძე -„ქართულის, როგორც უცხო ენის, სწავლების მეთოდიკა“-თეორიული კურსი, გვ.31).

სწავლების თანამედროვე მეთოდების გამოყენებით მასწავლებელი ცდილობს ლაპარაკის უნარ-ჩვევის განვითარებისთვის არამართული სასწავლო გარემოს უპირატესობები გადმოიტანოს საგაკვეთილო მართულ სასწავლო პროცესში ბუნებრივი რეალური საკომუნიკაციო სიტუაციის სიმულირებით, რისთვისაც აუცილებელია გაიზარდოს მოსწავლის ლაპარაკის წილი გაკვეთილზე. მართალია, გაკვეთილზე ლექსიკის, გრამატიკის, მოსმენისა და ლაპარაკის უნარ-ჩვევების გავარჯიშება ხდება, მაგრამ ეს სხვა სფეროა, და რეალური კომუნიკაცია, რომელიც მიზნად ისახავს გარკვეული ინტენციის მიღწევას თავად მოსაუბრესთან სხვა. წერის უნარის მსგავსად, ლაპარაკის უნარ-ჩვევაც შეიძლება გამოიყენებოდეს სხვადასხვა დავალებაში სხვადასხვა ფუნქციით; ლაპარაკი, როგორც თვითმიზანი და ლაპარაკი როგორც სხვა მიზნის მიღწევის საშუალება. ლიტერატურის მიხედვით, „ხშირად ლაპარაკი მხოლოდ საშუალებაა იმისთვის, რომ ლექსიკურ-გრამატიკული ცოდნა გადამოწმდეს. მთავარი მიზანი კი მაინც საკომუნიკაციო კონტექსტში ლაპარაკის უნარ-ჩვევის განვითარებაა“ (მაია ინასარიძე, „მეთოდოლოგიური

მითითებები ქართულის როგორც მეორე ენის მასწავლებლებისთვის' (სტატია)'ჟურნალი „მასწავლებელი“ 11 მარტი, 2013წ.)

„თუ გვსურს, მოსწავლე აქტიურად იყოს ჩართული სასწავლო პროცესში და სკოლამ მისთვის მიმზიდველობა არ დაკარგოს, უნდა ვეცადოთ, შევუქმნათ მას სოციალურად კომფორტული გარემო, დავეხმაროთ იმ მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაში, რომლებიც მნიშვნელოვანია სწავლისადმი დადებითი დამოკიდებულების გამოსამუშავებლად.“
(„როგორ შევუნარჩუნოთ ბავშვს სკოლისა და სწავლისადმი ინტერესი“, ქეთევან ოსიაშვილი, ჟურნალი „მასწავლებელი“ #2, 2015 წ.).

„მოსწავლეები უნდა ჩაერთონ სასწავლო პროცესისა და მისი შედეგების ანალიზში. მოსწავლეების ჩართვა შეფასების კრიტერიუმების დადგენასა და საკუთარი პროგრესის შეფასებაში ამცირებს მათ შფოთვისას. მოსწავლეებს შეუძლიათ თვითონ შეაფასონ თავიანთი ნამუშევარი იმ კრიტერიუმების გამოყენებით, რომელიც მათ მასწავლებელთან ერთად აღიარეს „კარგ“ ნამუშევრად. (4, გვ: 39, მელიქიშვილი მ. 2012. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი). „მოსწავლის წარმატებისთვის აუცილებელია მასწავლებელმა დაუსახოს მას მისაღწევი მიზანი. იმისათვის, რომ მოსწავლემ მიაღწიოს დასახულ მიზანს მას უნდა ჰქონდეს თვითეფექტიანობის მაღალი დონე. თვითეფექტიანობის მაღალი დონე გულისხმობს მოსწავლის რწმენას საკუთარი კომპეტენტურობის შესახებ, რომელიც ხელს შეუწყობს მოსწავლის მოტივაციის ამაღლებას მიზნის მიღწევის დროს. არსებობს საფრთხე, რომ მოსწავლეები სათანადოდ ვერ შეაფასებენ საკუთარ ძალებს. ამის გამო მათ შეიძლება უკან დაიხიონ და ინიციატივა არ გამოიჩინონ რაიმე ამოცანის გადაწყვეტისას ან, პირიქით, მათ შეიძლება გადაჭარბებით შეაფასონ საკუთარი შესაძლებლობები. თვითეფექტიანობა იზრდება, როცა მოსწავლეები:

1. ისახავენ ხანმოკლე მიზნებს;
2. სწავლობენ სპეციალურ სტრატეგიებს;
3. იღებენ ჯილდოს მიღწევისთვის. (4, გვ: 28–29, მელიქიშვილი მ. 2012)

ზეპირმეტყველების განმავითარებელ სტრატეგიებს/აქტივობებს კედევ ერთხელ გავცეკანი ყურადღებით მეთოდურ ლიტერატურაში. საწყის ეტაპზე მოსწავლეები ისრუტავენ ნებისმიერ ინფორმაციას, რომელსაც გადავცემთ, ამიტომ მნიშვნელოვანია, გამოვუმუშავოთ მათ სწორი წარმოთქმის უნარი. თანამედროვე სახელმძღვანელოთა უმრავლესობას თან ერთვის კომპაკტდისკები (CD) აუდიოდავიდეო მასალით, სახალისო ტექსტებით და გახმოვანებებით. მოსმენის პროცესში მოსწავლეები იმეორებენ სიტყვებს

და აკეთებენ გმირების იმიტაციას. მოსწავლეებს უვითარდებათ როგორც მოსმენის, ასევე სწორი წარმოთქმის უნარიც, რაც მნიშვნელოვანია ზეპირმეტყველებისთვის. სურვილის შემთხვევაში ისინი ინაწილებენ როლებს და ახორციელებენ შესაბამის აქტივობას. გასათვალისწინებელია, რომ ამ ეტაპზე მოსწავლეები უფრო ექსტროვერტები არიან, სიამოვნებით ადამიანებთან ურთიერთობა და უყვართ თავიანთი ქართულით თავის წარმოჩენა. ზოგადად, უცხოური ენის გაკვეთილზე ხშირად ხდება ხოლმე ბუნებრივი საუბრის კომპეტენციის სწავლება, რადგან გაკვეთილი ხელოვნურ სიტუაციაში წარიმართება და კომუნიკაცია მხოლოდ საგაკვეთილო რიტუალებით შემოიფარგლება. აქტივობები ეხმარება შემსწავლელს ლაპარაკის უნარის განვითარებაში, მაგრამ მიზანი კონტექსტში ლაპარაკის უნარ-ჩვევის განვითარებაა (ნათია ქათამაძე, „ზეპირმეტყველების უნარის განვითარება უცხო ენის სწავლების პროცესში“ (სტატია) ჟურნალი „მასწავლებელი“, 16 თებერვალი, 2016 წელი).

ინტერვიუ - სახეობა, რომელშიც ენის შემსწავლელი სიმულირების გზით კი არ ირჩევს როლს, იგი ნამდვილად, რეალურად მონაწილეობს სიტუაციაში და რეალურ კითხვებს სვამს ან პასუხობს. ასეთ შემთხვევაში მაპროვოცირებელ როლს თამაშობს ინტერვიუ. ბუნებრივია, ნაცნობი თემის ირგვლივ გაბმული თხრობა მათ ანიჭებს მეტ დამაჯერებლობას. აქ ნასწავლი გამოთქმები, ფრაზები, სიტყვათშეხამებები შემდეგში გამოიყენება, როგორც მზამზარეული ენობრივი მასალა.

დისკუსია/დებატები ყველაზე გავრცელებული თანამედროვე საგანმანათლებლო მეთოდია, რომელიც ზეპირმეტყველების განვითარებასთან ერთად ხელს უწყობს მოსწავლეებში ფიქრის, კრიტიკული აზროვნების, პრობლემის გადაჭრის და კომუნიკაციური უნარ-ჩვევების განვითარებას. არსებობს თავისუფალი დისკუსია, რომელშიც მასწავლებლის აქტიურობა მინიმალურია და დამკვირვებლის როლით შემოიფარგლება და სტრუქტურირებულია, რომელშიც მოსწავლეების როლი და ფუნქციები წინასწარ არის განსაზღვრული, შემუშავებულია წესები და მასწავლებელი ასრულებს ფასილიტატორის ფუნქციას. უნდა გავითვალისწინოთ, რომ სადისკუსიო თემის/კითხვების შერჩევა დიდ სიფრთხილეს და დაკვირვებას მოითხოვს, ვინაიდან სასაუბრო თემატიკა უნდა განისაზღვრებოდეს მოსწავლეების ინტერესების და შესაძლებლობების მიხედვით. ქვემოთ წარმოდგენილი აქტივობა საინტერესო და

სახალისოცაა, ვინაიდან მოითხოვს ფიზიკურ მოძრაობას, რაც მოსწავლეებს აძლევს საშუალებას, თავი დააღწიონ მერხებთან ჯდომის მომაბეზრებელ რუტინას.

როლური თამაში ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული და ნაყოფიერი მეთოდია ზეპირმეტყველებისგანვითარებისთვის. იგი წარმოადგენს რომელიმე სიტუაციის მოდელირებას, სადაც მოსწავლეები ირჩევენ შესაფერის როლებს და მოქმედებენ ამ როლის შესატყვისადსაკუთარიინტერპრეტაციით. როლური თამაში ხელს უწყობს საკითხის ღრმად წვდომას, მასალის ხანგრძლივი დროით დამახსოვრებას, დაზრდის მათ ჩართულობასა და მოტივაციას. როლური თამაშისთვის მასწავლებელი უნდა დაეხმაროს მოსწავლეებს მოამზადებინოს სცენარი ან გეგმის მარტივი მონახაზი და დაეხმაროს როლების გადანაწილებაში.

მთხრობელობა სალაპარაკო უნარის განვითარებასთან ერთად მოსწავლეებში სოციალური და ემოციური უნარების განვითარებასაც უწყობს ხელს, ზრდის მათ შემოქმედებითობას, ფანტაზიის უნარს, პროდუქტულობას და თავდაჯერებულობას. არსებობს მრავალფეროვანი სხვადასხვა აქტივობები, რომლებიც ხელს უწყობს მთხრობელობის გაუმჯობესებას. წარმოგიდგენთ ჩემ მიერ სასწავლო პროცესში გამოყენებულ ერთ-ერთ აქტივობას. მასწავლებელი ყოფს მოსწავლეებს 4-5 კაციან ჯგუფებად, აწვდის მათ სამ თემას. მაგ, 1. ჩემი ოცნების არდადეგები, ჩემი ოცნების ქალაქი, ჩემი საუკეთესო გასული არდადეგები. მოსწავლეები ირჩევენ მათთვის სასურველ თემას და ამზადებენ ერთწუთიან საუბარს რუბრიკის მიხედვით (მოსწავლეებს წინასწარ ურიგდებათ შეფასების რუბრიკები, რომლებშიც მოცემულია ის კომპონენტები, რაც უნდა გაითვალისწინონ მათ საუბრის მომზადების პროცესში შეფასების კომპონენტები: – საუბრის ხანგრძლივობა; – შინაარსი - მრავალფეროვანი ლექსიკური ერთეულების გამოყენება; – მკაფიო და გასაგები საუბარი; – ჟესტიკულაცია და ა. შ – თითოეული ჯგუფი ირჩევს საუკეთესო თემას და თემის ავტორს უწევს კლასის წინაშე საკუთარი თემის მოყოლა. პრეზენტატორი ფასდება შეფასების რუბრიკის მიხედვით.

აქტივობა – „რეფლექსია“- წინა დღეს ჩატარებული გაკვეთილის დეტალური აღწერა/გახსენება /მიმოხილვა. აქტივობის გამოყენება შესაძლებელია საპროგრამო ნაწარმოების შესწავლის ნებისმიერ ეტაპზე. გაკვეთილის დასაწყისი – საუკეთესო დროა განსახორციელებლად.... ამ აქტივობის შესრულება შესაძლებელია კიდევ უფრო ზუსტი და კონკრეტული მითითებებით:

3 რამ... აქტივობის მიზანი იგივეა. დაკონკრეტებულია სასაუბრო თემა. მოსწავლეებს ეძლევათ მითითება. გაიხსენე და გაგვაცანი: 3 რამ, რაც ყველაზე მეტად მოგეწონა 2 რამ, რაც განსაკუთრებით კარგად დაგამახსოვრდა 1 რამ, რაც უკეთ შეიძლებოდა გაკეთებულიყო (რაც ვერ გავიგე, რაზეც მეტს შევითვალისწინებდი...). აქტივობა ხელს უწყობს მეტყველების პროვოცირებას. მოსწავლეს არ ევალება ისეთი დავალების შესრულება, რაც მას წინასწარ უნდა მოემზადებინა, რაც ფაქტობრივ ცოდნას მოითხოვს ან შესასწავლი ტექსტის შინაარსს ეყრდნობა, შესაბამისად, ის მეტად თავისუფლად გრძნობს თავს. შესრულებული დავალება არ ფასდება. მოსწავლეებს შეუძლია გააკეთოს კომენტარი (ზეპირი განმავითარებელი შეფასება); აღნიშნულ სტარტეგიებს წარმატებით ვიყენებთ პედაგოგიურ საქმიანობაში. მოსწავლეები ეჩვევიან ნასწავლი სიტყვებისა და ფრაზების სწორად გამოყენებას, ვარჯიშობენ შეცდომების გასწორებაზე, არ უჭირთ ნაცნობ საკომუნიკაციო სიტუაციებში ინტერაქცია(ნინო ლომიძე, ზეპირმეტყველების განმავითარებელი რამდენიმე აქტივობა საშუალო საფეხურისთვის (სტატია)ჟურნალი „მოსწავლეები“, 6 ნოემბერი, 2015წ).

თავი III

3.1 კვლევის მთავარი კითხვა

როგორ დავეხმარო მოსწავლეებს ქართულ ენაზე გაბმულად ლაპარაკის უნარის განვითარებაში?

ქვეკითხვები

საკვლევი პრობლემიდან გამომდინარე გამოვყავი შემდეგი საკვლევი საკითხები:

- როგორ გადმოვიტანო არამართული სასწავლო გარემოს უპირატესობები საგაკვეთილო, მართულ სასწავლო პროცესში ბუნებრივი, რეალური საკომუნიკაციო სიტუაციის სიმულირებით და გავზარდო შემსწავლელის ლაპარაკის წილი გაკვეთილზე.
- რამდენად ითვისებენ მოსწავლეები გრამატიკულ კონსტრუქციებს და ლექსიკას?
- არის თუ არა საკმარისი სახელმძღვანელოში წარმოდგენილი ტექსტები ამოცანის განსახორციელებლად?
- შეესაბამება თუ არა ტექსტები მოსწავლეთა ინტერესებსა და საჭიროებებს?
- რა დაეხმარება მოსწავლეებს ლაპარაკის უნარის გაუმჯობესებაში?
- როგორი გაკვეთილი იქნება მოსწავლეთათვის საინტერესო?

- რომელი აქტივობის გამოყენებას შეძლებენ მოსწავლეები სახლში დამოუკიდებლად?
- რა ფორმით მივაწოდო მოსწავლეებს შერჩეული აქტივობა და როგორ დავაკავშირო რეალურ, ავთენტურ სიტუაციებს, ელექტრონულ რესურსებს?

3.2 პრობლემა, პრობლემის გამომწვევი სავარაუდო მიზეზები და საკვლევი საკითხის იდენტიფიცირება

კვლევის საფუძველი გახდა ქართულ ენაზე ზეპირი კომუნიკაციის დროს წარმოქმნილი პრობლემები. როგორც წესი, ენის ფლობა იზომება არა იმის მიხედვით, თუ რამდენი სიტყვა იცის შემსწავლელმა, არამედ იმის მიხედვით, თუ რა ენობრივი ქმედება შეუძლია მას ცალკეულ სიტუაციაში. მე-7 კლასის მოსწავლეთა დიდი ნაწილი ვერ ახერხებდა ქართულ ენობრივ ქმედებებს ისეთ ავთენტურ საკომუნიკაციო სიტუაციებში, როგორიცაა, მაგალითად, გაცნობა - თავის წარდგენა(მე ვარ....., მე მქვია....., ვარ..... წლის, ვსწავლობ, მყავს.....), მისაღება(გამარჯობა, დილა მშვიდობის, სალამი, მოგესალმებით,....), დამშვიდობება(ნახვამდის, მომავალ შეხვედრამდე, ხვალამდე, კარგად....), მოკითხვა (როგორ ბრძანდებით, როგორ ხარ, როგორ არიან შენი მშობლები, როგორ არის შენი და/ძმა/მეგობარი....), თხოვნა(შეიძლება, გარეთ გავიდე? შეიძლება, შემოვიდე? შეიძლება, დავჯდე? შეიძლება, ავიღო?,) და სხვა; ვერ ახერხებდნენ საუბარს (ტელეფონით) ყოველდღიურ თემებზე; ვერ ახერხებდნენ მონაწილეობას როლურ თამაშებში, სიმულაციურ სიტუაციებში(შეხვედრა ქუჩაში, მარშრუტის ახსნა დასხვა); ქართულ ენაზე ვერ მომმართავდნენ მე(მასწავლებელს), თანაკლასელებს - სასწავლო პროცესში წარმოქმნილ საჭიროებებთან დაკავშირებით; ვერ საუბრობდნენ(მარტივი ენით) მათთვის ნაცნობ თემებზე(არდადეგებზე, სამომავლო გეგმებზე, მეგობრებზე); ვერ ჰყვებოდნენ თავს გადამხდარ, გაგონილ, ნანახ, წაკითხულ ამბავს; ვერ გადმოსცემდნენ ფილმის შინაარსს; ვერ საუბრობდნენ საყვარელი წიგნის, ფილმის, პერსონაჟის შესახებ და ვერ ასაბუთებდნენ თავის არჩევანს. ეს ყველაფერი კი ერთად დადებით მოდალობაში ლაპარაკის უნარ-ჩვევას წარმოადგენს. „ლაპარაკის უნარ-ჩვევის, როგორც მიზნობრივი უნარ-ჩვევის განვითარება გულისხმობს ისეთ კომპეტენციას, რომლის საშუალებითაც შემსწავლელს შეუძლია გარკვეულ მიზანს მიაღწიოს უცხო ენაზე კომუნიკაციის დროს, კერძოდ, ენა გამოიყენოს ინფორმაციის გადაცემის, გაზიარებისა და ურთიერთგაგების საშუალებად“ (თ.კილურაძე, ე.ქუთათელაძე -„ქართულის, როგორც უცხო ენის, სწავლების მეთოდიკა“-

თეორიული კურსი, გვ.31). ჩემს მოსწავლეებს კი არა მხოლოდ უჭირდათ მიზნის მიღწევა ქართულ ენაზე კომუნიკაციის დროს, არამედ საერთოდ ვერ ახერხებდნენ კომუნიკაციას ამ ენაზე, რაც არსებით და სასწრაფოდ გადასაჭრელ პრობლემად მიმაჩნდა. ამ პრობლემის გადასაჭრელად პრაქტიკული კვლევა გადაწყვიტე. კვლევის შედეგები ჩემს კოლეგებსაც დაეხმარებოდა მსგავს ვითარებაში.

იმისათვის, რომ მოსწავლეს განუვითარდეს გაბმულად ლაპარაკის უნარი, გარდა საგაკვეთილო პროცესისა, სახლშიც უნდა ივარჯიშებდეს ლაპარაკის უნარს იმ აქტივობებით, რომლებსაც მასწავლებელი აძლევს დავალების სახით. მაგალითად, ამ მიზნით უნდა ესაუბრებოდეს ოჯახის წევრებს, მეზობლებს, თუნდაც სკაიპით-მეგობრებს და სხვა. იმის დასადგენად, თუ როგორ ასრულებდნენ მოსწავლეები საშინაო დავალებას ლაპარაკში, ჩავატარე მშობლების გამოკითხვა. აღმოჩნდა, რომ ამ დავალების შესრულებას მოსწავლეები ვერ ახერხებდნენ. ამის მიზეზად მშობლებმა დაასახელეს სერიოზული პრობლემა, კერძოდ, არც ოჯახის წევრებმა, არც მეზობლებმა და არც მეგობრებმა არ იციან ქართული ენა და არ შეუძლიათ პარტნიორობა გაუწიონ მოსწავლეს ამ დავალების შესრულებაში. ერთადერთი შესაძლებლობა ქართულ ენაზე ლაპარაკისა ბავშვებს ეძლევათ მხოლოდ მაშინ, როცა სოფელში სავაჭროდ ქართულენოვანი ადამიანები ჩამოდიან. ამ დროს ოჯახის წევრები ბავშვებს ახალისებენ და მათთან ქართულად საუბრის ბიძგს აძლევენ. სიტუაციის შესწავლით ცხადად გამოიკვეთა, რომ ქართული ენის გაკვეთილის გარდა ქართულენოვანი გარემო ბავშვებისათვის არ არსებობს. იმის დასადგენად, ჰყავთ თუ არა ქართული ენის მცოდნე ნათესავები საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, მშობლებში ჩავატარე გამოკითხვა. აღმოჩნდა, რომ მეშვიდე კლასის მოსწავლეების ოჯახების უმრავლესობას ჰყავს ქართული ენის მცოდნე ნათესავი ან მეგობარი საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, რომელთანაც მოსწავლეს შეუძლია სკაიპით საუბარი ქართულ ენაზე თუნდაც დღეში 10-15 წუთის განმავლობაში, რაც ჩემ მიერ მიცემულ საშინაო დავალებას წარმოადგენს ლაპარაკში.

პრაქტიკული კვლევა გულისხმობს სასწავლო პროცესში წარმოქმნილი პრობლემების იდენტიფიცირებას, პრობლემის გადაჭრის გზების მოძიებას და ინტერვენციების გატარებას, საბოლოოდ კი შედეგების ანალიზის შედეგად დასკვნების გაკეთებას და კოლეგებისთვის რეკომენდაციების გაზიარებას.

ჩემი კვლევის მიზანი იყო ისეთი მეთოდის პოვნა, რომელიც მოსწავლეებს დაეხმარებოდა ქართულ ენაზე გაბმული ლაპარაკის უნარების განვითარებაში, ამ მეთოდის გამოყენება, შედეგებზე დაკვირვება, რეკომენდაციების შემუშავება და კოლეგებისთვის გაზიარება, რათა შემდეგ საჭიროების შემთხვევაში თავად გამოიყენონ უკვე ჩემ მიერ გამოცდილი მეთოდი იმავე ან მსგავსი პრობლემის არსებობის შემთხვევაში.

პრობლემის გამომწვევი სავარაუდო მიზეზები

კოლეგებთან მსჯელობის შედეგად გამოიკვეთა პრობლემის გამომწვევი სავარაუდო მიზეზები, კერძოდ:

- 1.წინარე ცოდნის ნაკლებობა;
2. თემატური მასალის დეფიციტი სახელმძღვანელოში;
3. ქართულენოვანი გარემოს დეფიციტი;
4. ჩაკეტილი ცხოვრების სტილი;
5. თანამედროვე ტექნოლოგიების ელექტრონული რესურსების ნაკლებობა ან არამიზნობრივი გამოყენება;
- 6.სწავლების პროცესში ისტ-ის გამოყენების ნაკლებობა სხვადასხვა მიზეზის გამო;

3.4 კვლევის მიზანი

კ ვ ლ ე ვ ი ს მ ი ზ ნ ა დ დავისახე: VII კლასის მოსწავლეებში ქართულის, როგორც მეორე ენის გაკვეთილზე იმ მეთოდების დანერგვა, რომლებიც მოსწავლეებს გაუუმჯობესებს ქართულ ენაზე გაბმულად ლაპარაკის უნარ- ჩვევას.

კვლევის ძირითადი სამიზნე ჯგუფი: მე-7 კლასის მოსწავლეები

კვლევის მოსალოდნელი შედეგები: მოსწავლეებში ქართულ ენაზე გაბმული ლაპარაკის უნარ-ჩვევის გაუმჯობესება.

ესგ-ს მიხედვით, ლაპარაკის კომპეტენცია რამდენიმე კომპონენტისგან შედგება. მე გამოვყავი ერთ-ერთი კომპონენტი - გაბმულად ლაპარაკის უნარ-ჩვევა. ჩემი აზრით, ამ უნარ-ჩვევის ფლობის დონე მნიშვნელოვნად განსაზღვრავს მოსწავლის მოტივაციას, თვითშეფასების, თვითრეალიზაციის, თავისუფლების ხარისხს, საგნისადმი დამოკიდებულებას, სწავლის ინტერესს, ინტეგრაციის ხარისხს. ამას ადასტურებს ქვემოთ

წარმოდგენილი ესგ-ს კომპონენტი თავისი ინდიკატორებით ქართული, როგორც მეორე ენაში:

ქ.მ. VII.18. მოსწავლეს შეუძლია გაბმულად ლაპარაკი.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- მარტივი ენით საუბრობს მისთვის ნაცნობ თემებზე (არდადეგები, სამომავლო გეგმები, მეგობრები);
- ჰყვება თავს გადამხდარ, გაგონილ, ნანახ, წაკითხულ ამბავს;
- გადმოსცემს ნანახი ფილმის შინაარსს;
- საუბრობს საყვარელი წიგნის, ფილმის, პერსონაჟის შესახებ და ასაბუთებს თავის არჩევანს.

საწყის ეტაპზე მიზნად დავისახე ისეთი დამატებითი აქტივობის პოვნა, რომელიც მოსწავლეებს აუმაღლებდა მოტივაციასა და დაეხმარებოდა გაბმული ლაპარაკის საწყისი უნარების განვითარებაში. დამატებითი აქტივობა უნდა ყოფილიყო საინტერესო, რომლის გამოყენებასაც ბავშვები სკოლაში, სასწავლო პროცესში და სახლშიც დამოუკიდებლად, მშობლების დახმარების გარეშე შეძლებდნენ, რადგანაც მშობლებსა და ოჯახის წევრებს არ შეუძლიათ ქართულად ლაპარაკი.

კვლევის ამოცანები

კვლევის წარმატებით განსახორციელებლად შემდეგი ამოცანები დავსახე:

1. ფოკუს-ჯგუფის შექმნა;
2. სადიაგნოსტიკო ტესტირების შედეგად მოსწავლეების ლაპარაკის დონის დადგენა; დაკვირვება თითოეულ მოსწავლეზე;
3. დისკუსიები კოლეგებთან და პრობლემის გადაჭრის გზების ძიება.
4. სპეციალურ ლიტერატურაში, ლაპარაკის სწავლების სტრატეგიების მოძიება, მოსწავლეებში ქართულ ენაზე გაბმული ლაპარაკის უნარების ჩამოყალიბებისა და განვითარებისათვის ისეთი აქტივობის შერჩევა, რომელსაც ისინი როგორც სკოლაში - სასწავლო პროცესში, ასევე სახლში, უფროსების დახმარების გარეშე, დამოუკიდებლად შეასრულებენ;
5. ვინაიდან მშობლების გამოკითხვისას დადგინდა, რომ ბავშვებს მოსწონთ კომპიუტერთან მუშაობა, დამატებითი აქტივობა დაუკავშირდეს ელექტრონულ რესურსებს;

6. უნდა დადგინდეს, რამდენად გაუმჯობესდება მოსწავლეთა გაბმული ლაპარაკის უნარი დაგეგმილი აქტივობების გამოყენების შედეგად.

7. მოსწავლეთა მშობლების გამოკითხვა, რას ფიქრობენ ისინი, გაუმჯობესეს თუ არა მათმა შვილებმა ლაპარაკის უნარი.

8. პედაგოგთა გამოკითხვა;

9. მონაცემების კოდირება და ანალიზი;

10. შედეგების და დასკვნების პრეზენტაცია.


კვლევაში მონაწილე რესპოდენტთა რაოდენობა, სამიზნე ჯგუფები

1. სსიპ ახალქალაქის მუნიციპალიტეტის სოფელ დადემის საჯარო სკოლის მეშვიდე კლასის მოსწავლეები – 8 მოსწავლე; მათ შორის 5 – გოგონა, 3 – ვაჟი;

2. სსიპ ახალქალაქის მუნიციპალიტეტის სოფელ დადემის საჯარო სკოლის მეშვიდე კლასის მოსწავლეთა მშობლებიდან ერთ-ერთი – 8;

3. სსიპ ახალქალაქის მუნიციპალიტეტის სოფელ დადემის საჯარო სკოლის პედაგოგები - 6

4. სულ – 22 რესპოდენტი



3.6 კვლევის ვადები

აქტივობა	ნოემბერი	დეკემბერი	იანვარი	თებრი	მარტი	აპრილი	მაისი
პრობლემის იდენტიფიცირება	X						
კვლევის სავარაუდო გეგმის შემუშავება	X						
ინტერვიუ სკოლის	X						

დირექტორთან							
კითხვარის შედგენა და სადიაგნოსტიკო ტესტირების ჩატარება	X						
მეორადი მონაცემების შეგროვება და ანალიზი		X					
ინტერვენცია - ჩართული დაკვირვება		X	X	X	X	X	
ინტერვენციები და მათი ანალიზი		X	X	X	X	X	
შემაჯამებელი დიაგნოსტიკური ტესტირება							X
პრევენტაცია - სასკოლო საზოგადოებასთან, შედეგების გაცნობა							X

კვლევის რისკები

არის საფრთხე რომ კვლევაში ყველა მოსწავლე არ მიიღებს მონაწილეობას. ამის მიზეზი შეიძლება იყოს: სახლში კომპიუტერის გაუმართაობა/ინტერნეტის არქონა ან მოსწავლის სურვილის არქონა კვლევაში მონაწილეობისთვის. ამიტომ მათთვის სხვა სახის აქტივობებს განვახორციელებ იმავე პრობლემის აღმოსაფხვრელად, მაგრამ კვლევაში არ ავსახავ ამ აქტივობებს, თუმცა ამ მოსწავლეებსაც დავაკვირდები დიაგნოსტიკური ტესტირების ჩატარების დროს.

თავი IV

4.1 კვლევის მეთოდების განხილვა

მონაცემთა შეგროვების *თვისებრივი* (ინტერვიუ, ფოკუს-ჯგუფი, ფოკუსირებული და შერჩევითი დაკვირვება) და *რაოდენობრივი* მეთოდების (დახურული და ღია ანკეტირება)

გამოყენებით გამოიკვეთ, რომ მოსწავლეებს აქვთ მწირი ლექსიკური მარაგი, უჭირთ აზრის გადმოცემა, ჩართულობა დაბალია და ნაკლებად ვიყენებ სწავლების სხვადასხვა ინტერაქტიურ სტრატეგიებს.

სწავლების თანამშრომლობით სტრატეგიები მოიცავს სიმულაციურ თამაშებს, ჯგუფურ, წყვილებში მუშაობას, დიფერენცირებულ ჯგუფებში სწავლებას, ასევე მრავალფეროვან აქტივობებს, ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებას და, რაც მთავარია, თითოეული ეს აქტივობა პასუხობს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს. ინტერვენციის ეტაპზე თანამშრომლობითი სწავლების სტრატეგიებზე დაყრდნობით შემუშავებული მეთოდები დამეხმარა მოსწავლეთა გაკვეთილზე ჩართულობის გაზრდაში. მიუხედავად იმისა, რომ საგაკვეთილო პროცესში ხშირად შეუძლებელია აბსოლუტურად ავთენტიკური ქართულენოვანი საკომუნიკაციო სიტუაციის შექმნა, სიმულირებული სიტუაციების საშუალებით შესაძლებელია შემსწავლელის ავთენტიკური ენობრივი ქმედების გავარჯიშება. ამისათვის უნდა, დაირღვეს ტრადიციული საგაკვეთილო პროცესი და მოხდეს არაფორმალური სალაპარაკო სიტუაციის შემოტანა გაკვეთილზე. მაგალითად, დიალოგური სიტუაციების შექმნა, რომლის დროსაც შემსწავლელეები ლაპარაკობენ არა იმისთვის, რომ მოუყვანონ გაკვეთილს მასწავლებელს და პასუხი გასცენ შეკითხვაზე, არამედ ერთმანეთში საუბრობენ დამსჯელობენ ქართულ ენაზე რომელიმე ჯგუფური დავალების შესასრულებლად, დისკუსიას მართავენ მათთვის აქტუალურ თემაზე, ცდილობენ ერთობლივი დისკუსიის შედეგად ამოიციონ სურათზე გამოსახული სიტუაციის აზრი ან მოცემული ტექსტის შინაარსი და სხვა.

სადიაგნოსტიკო ტესტირება – ავთენტიკურ სიტუაციებში სწორი და სწრაფი სამეტყველო ქმედებების შესრულების უნარი გაბმული ლაპარაკის მნიშვნელოვანი საყრდენია. ამიტომ კვლევის საწყის, შუალედურ და ბოლო ეტაპზე, კლასში მოსწავლეთა გაბმული ლაპარაკის დონის დასადგენად, სადიაგნოსტიკო ტესტირება გამოვიყენე, რომლის დანიშნულება იყო ავთენტიკურ სიტუაციაში ქართულენობრივი ქმედების(ქართულად ლაპარაკის) უნარის შემოწმება. სადიაგნოსტიკო ტესტი შედგენილია ჩემ მიერ.

ჩართული დაკვირვება – სადიაგნოსტიკო ტესტირების შედეგად გამოვლენილი პრობლემის მქონე მოსწავლეზე/მოსწავლეთა ჯგუფზე სწორი, გაბმული ლაპარაკის საწყისი უნარების

განვითარების პროცესზე დაკვირვების მიზნით გამოვიყენე ჩართული დაკვირვების მეთოდი. ჩართული დაკვირვების დროს დამატებით არაფორმალურად ვესაუბრებოდი მოსწავლეებს, ვიღებდი მათგან ინტერვიუს.

მშობელთა გამოკითხვა – მშობელთა გამოკითხვის მეთოდი გამოვიყენე კვლევის საწყის და ბოლო ეტაპებზე შემდეგ კითხვებზე პასუხის მისაღებად:

საწყის ეტაპზე: რა დროს უთმობენ მშობლები ბავშვის ქართულად ლაპარაკის პროცესზე ყურადღების მიქცევას? დავალების შესრულებისას დამოუკიდებლად მუშაობენ, თუ უფროსები ეხმარებიან? რომელი პროცესი უფრო მოსწონთ ბავშვებს: დიალოგი სკაიპით, მონოლოგი, საკუთარ თავთან საუბარი?

ბოლო ეტაპზე: იმ ბავშვების მშობლების გამოკითხვა, რომლებმაც მიიღეს კვლევაში მონაწილეობა, როგორ თვლიდნენ: ბავშვებს დაეხმარა თუ არა, კვლევისთვის შერჩეული აქტივობა ლაპარაკის უნარის გაუმჯობესებაში? სკაიპი კარგი დამხმარე რესურსია თუ არა?

რისკები - არის რისკები, რომ ზოგიერთი მოსწავლე არ მიიღებს კვლევაში მონაწილეობას, ასევე შესაძლებელია ვერც მათი მშობლების გამოკითხვა მოხერხდეს. იმ ბავშვების მშობლებს რომლებმაც არ მიიღეს კვლევაში მონაწილეობა, მხოლოდ ერთ კითხვას დავუსვამ: რა მიზეზით არ მიიღეს მათმა შვილებმა(მე-7კლასის მოსწავლეებმა) მონაწილეობა კვლევაში?

ჩარევის (ინტერვენციის) დაგეგმვა

დაიგეგმა შემდეგი ინტერვენციები:

- დაიგეგმა ჯგუფური, წყვილებში მუშაობა ექვსი თვის განმავლობაში (თვეში 1: ჯგუფური 1: წყვილში მეცადინეობა).
- ჯგუფებში მუშაობის დროს მოსწავლეები მუშაობდნენ იმ საკითხზე, რომელიც მათი ცოდნის დონეს, ინტერესებს, საჭიროებებსა და შესაძლებლობებს შეესაბამებოდა.
- ტარდებოდა ჯგუფური სამუშაოები, რომლის დროსაც მოსწავლეები ერთად ამუშავებდნენ ტექსტებს, დიალოგებს ან ასრულებდნენ პრაქტიკულ სავარჯიშოებს;
- შედეგებს ერთობლივად ვაანალიზებდით და ვაფასებდით შემაჯამებელ დავალებებს;
- ჩატარდა ანკეტური გამოკითხვა მოსწავლეებთან და მშობლებთან კვლევის ფარგლებში დაგეგმილი ინტერვენციების შეფასების მიზნით;

ინტერვენციების შედეგები და მათი ანალიზი

ინტერვენციების განხორციელება სასარგებლო აღმოჩნდა მთელი კლასისთვის. ყველა მოსწავლე ინტერესით და აქტიურად იყო ჩართული მუშაობის პროცესში. ისინი კარგად თანამშრომლობდნენ და ეხმარებოდნენ ერთმანეთს. კითხულობდნენ ტექსტებს, ამუშავებდნენ შინაარსს, სწავლობდნენ უცხო სიტყვებს, ფრაზებს და კლიშეებს, უსვამდნენ ერთმანეთს შეკითხვებს, იყენებდნენ ნასწავლ ლექსიკას საუბარში. წერდნენ მარტივ დიალოგებს და გაითამაშებდნენ. მუშაობდნენ სწორი ფორმების დამახსოვრებაზე. შემაჯამებელი კითხვარის შევსების დამთავრების შემდეგ ერთობლივად ვანალიზებდით შედეგებს. . სამუშაო პროცესს ვაკვირდებოდი, შენიშვნებს ვინიშნავდი და მუშაობის დასრულების შემდეგ რჩევებს ვაძლევდი. დაკვირვებითა და მოსწავლეების გამოკითხვით დადგინდა რომ ჩატარებული აქტივობებით, ურთიერთდახმარებით ჯგუფური მუშაობის დროს, ტესტირებებით, თვითშეფასებებით, მოტივაცია ამაღლდა, მოსწავლეთა ჩართულობა გაიზარდა სასწავლო პროცესში, მოსწავლეებს აღარ უჭირდათ ნასწავლი სიტყვების, ფრაზების, კლიშეების სწორად გამოყენება საუბრის დროს, შესაბამისად, გაუმჯობესდა სწავლის ხარისხიც. . ეს უკანასკნელი გაიზომა შემაჯამებელი ტესტირებით, რომელშიც პირველი შემაჯამებელი დავალების შედეგთან შედარებით მომდევნო კითხვარებზე მაღალი დონე ფიქსირდება. კითხვარების დაგეგმვისას მაქსიმალურად იყო გათვალისწინებული გაბმულად ლაპარაკის ხარისხი.

მონაცემთა შეგროვებამ და შედეგების ანალიზმა აჩვენა, რომ:

- აღწერითი დაკვირვების დროს გამოვლინდა, რომ დაბალი ენობრივი კომპეტენციის მქონე მოსწავლეები არ არიან მოტივირებულები, ჩაერთონ საგაკვეთილო პროცესში, მათ უჩნდებათ ლაპარაკის შეცდომის დაშვების შიში, აქვთ დაბალი თვითშეფასება, ცდილობენ, თავი აარიდონ ლაპარაკის აქტივობებში მონაწილეობას, ზოგჯერ შეიძლება, დისციპლინაც დაარღვიონ საკუთარი დაბალი ენობრივი კომპეტენციის დასაფარავად.
- ფოკუსირებულმა დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ ასეთი მოსწავლეები ვერ ახერხებენ ტექსტების თარგმანს, შესაბამისად, არ ესმით შინაარსი და უჭირთ მისი რეპროდუცირება. ვერ ახერხებენ კლიშეების დამახსოვრებას და, შესაბამისად, ლაპარაკის დროს მათ გამოყენებას.
- შერჩევითმა დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ დაბალი ენობრივი კომპეტენციის მქონე მოსწავლეებს უძნელდებათ ლექსიკის და გარამტიკული კონსტრუქციების დამახსოვრება და ამიტომ უჭირთ შიშის დამღევა და თავს არიდებენ ზეპირ ინტერაქციაში მონაწილეობას.

ღია და დახურული ანკეტირების საფუძველზე გამოიკითხა 8 მოსწავლე.

დადგინდა რომ: 50%-ს სურს სასაუბრო დიალოგების შესწავლა, ყველა ზემოთ ჩამოთვლილი 12,5%, არცერთი აქტივობა არ სურს 12,5%-ს. ლექსიკა, რომელსაც სახელმძღვანელოდან სწავლობენ მისარებია 12,5%-ისთვის, მიუღებელია 25%-თვის, მწირი ლექსიკაა 12,5%, ზედმეტად

რთულია 50%. სახელმძღვანელოში წარმოდგენილი ტექსტები შეესაბამება 12.5%-ის საჭიროებებს, 75%-თვის არ შეესაბამება, ნაწილობრივ 12.5%. ჯგუფური მუშაობის დროს ადვილად სწავლობს 50%, ვერ სწავლობს 12,5%, ურჩევნია დამოუკიდებლად მეცადინეობა 25%. მოსწავლეთა 75%-ს სურს ისწავლოს ქართული ენა, 12,5%-ს არ სურს ისწავლოს, ცდილობს ისწავლოს 12,5%.

ღია კითხვებში მოსწავლეებმა დააფიქსირეს საკუთარი შეხედულებები.

კითხვაზე რა ტიპის ლექსიკის შესწავლა გსურთ? მოსწავლეებმა დაწერეს რომ სურთ, მეტი სასაუბრო ტექსტების, დიალოგების, მზა ფრაზებისა და სხვადასხვა ავთენტიკური სიტუაციისა და ყოფითი თემის ირგვლივ სიტყვების შესწავლა.

კითხვაზე, რატომ გსურთ ქართული ენის შესწავლა? მოსწავლეებმა აღნიშნეს, რომ არ უნდათ დაბალი ქულის მიღება და მშობლების გაბრაზებას ერიდებიან. მშობლები ეუბნებიან, რომ ისწავლონ ქართული. ზოგ მოსწავლეს ქართული ენის სწავლა უბრალოდ ეზარება , არ აქვს მოტივაცია.


კითხვაზე როგორი გაკვეთილი იქნებოდა მათთვის საინტერესო? მოსწავლეებმა აღნიშნეს, რომ მათთვის საინტერესო იქნებოდა ფილმების/მულტფილმების ყურება. მეტი პრაქტიკული და მრავალფეროვანი აქტივობები, ხელოვნურად შექმნილი საკომუნიკაციო სიტუაციები, როლური თამაშები და სხვა;

თავი V

მონაცემთა ანალიზი

წინასწარი სადიაგნოსტიკო ტესტირების შედეგად (დანართი 3), გამოიკვეთა მოსწავლეთა ჯგუფი-75%, რომელთაც არ აქვთ განვითარებული გაბმულად ლაპარაკის უნარი.

სადიაგნოსტიკო ტესტირება საწყის ეტაპზე




შესაბამისად, ეს მოსწავლეები არიან რისკის ჯგუფში, თუ ისინი ვერ განივითარებენ გაბმული ლაპარაკის უნარს, არის საფრთხე, რომ ამ მოსწავლეთა ლაპარაკის კომპეტენცია იქნება დაბალი.


მშობელთა გამოკითხვა პრობლემის იდენტიფიცირების ეტაპზე

წინასწარ გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო 8 მშობელმა (დანართი 1).

მშობელთა წინასწარი გამოკითხვის შედეგად დადგინდა, რომ ბავშვები სახლში იშვიათად ლაპარაკობდნენ ქართულად. ლაპარაკობენ ძირითადად მაშინ, როცა დავალება უნდა შეასრულონ ქართულ ენაში ან მაშინ, როცა რაიმე პროდუქტის საყიდლად ქართულენოვანი მყიდველი მოდის მათ სახლში. ეს დიაგრამით ასე გამოისახება:




ასევე მაინტერესებდა, რას ფიქრობდნენ მშობლები, სკაიპი კარგი რესურსია, თუ არა? მშობელთა 62,5%-მა დადებითად უპასუხა ამ კითხვას, ხოლო 25%-ს ნაწილობრივ მოსწონს სკაიპი, როგორც რესურსი, ხოლო 12,5%-ს მაინცდამაინც არ მოსწონს სკაიპი, ამბობს, რომ სკაიპი კარგი ელექტრონული რესურსი არ არის და განსაკუთრებულ როლს ვერ შეასრულებს ქართულად ლაპარაკის უნარის გაუმჯობესებაში.




კითხვაზე რა დროს უთმობს თქვენი შვილი საშინაო დავალების შესრულებას ქართულად გაბმულ ლაპარაკში? კითხვაზე „თქვენი შვილი ძირითადად რა ტიპის დავალებას ასრულებს სახლში ხალისით?“, ასეთი შედეგი მივიღე: სახლში ხალისით


ასრულებს წერით დავალებას 6 მოსწავლე-75% , ვარჯიშობს ტექსტის ხმამაღლა გამომეტყველებით კითხვაში 4 მოსწავლე-50%, ვარჯიშობს წაკითხულის მოყოლაში-4 მოსწავლე-50%.



4. თქვენი შვილი ხალისით ასრულებს დავალებას ზეპირმეტყველებაში(მონოლოგი, დიალოგი სკაიპში)? ამ კითხვაზე პასუხის შედეგები ასე გამოისახა დიაგრამაზე: დიახ-25%, არა-75%.



კითხვაზე - ელაპარაკებით თუ არა შვილს ქართულად? თუ ელაპარაკებით, რა დროს უთმობთ ამ პროცესს? - პასუხისას გამოიკვეთა, რომ მშობელთა უმრავლესობა 30 წუთზე უფრო ნაკლებ დროს უთმობს შვილებთან ერთად ქართულად ლაპარაკის პროცესს, რაც დიაგრამულად ასე გამოისახა.




ამრიგად, წინასწარი გამოკითხვით დავადგინე, რომ მოსწავლეები ძირითადად დამოუკიდებლად მუშაობენ ქართულად ლაპარაკის დავალების შესრულების დროს და უპირატესობას ანიჭებენ სოციალური ქსელის საშუალებით(ფეისბუქის) ქართული ენის მცოდნე ნაცნობებთან ქართულ ენაზე ლაპარაკს, მშობელთა უმრავლესობა კი შვილებთან ქართულად ლაპარაკს 30 წუთზე ნაკლებ დროს უთმობს.

მოსწავლეები სახლში/სკოლის გარეთ ლაპარაკს, რომ არასათანადო დროს უთმობდნენ. ეს ისედაც ცხადი იყო ჩემთვის კლასში დაკვირვების შედეგად. მაგრამ ამ გამოკითხვის შედეგად გამოიკვეთა მშობელთა ჩართულობის პრობლემაც. ამიტომ მიზნად დავისახე, მეპოვა გაბმული ლაპარაკის უნარის განვითარების ისეთი მეთოდი, რომელსაც მოსწავლეები სახლში/სკოლის გარეთ გამოიყენებდნენ დამოუკიდებლად მშობლების დახმარების გარეშე. ეს მიდგომა უნდა დამეკავშირებინა ელექტრონულ რესურსთან(მაგალითად, კომპიუტერთან, ტელეფონთან, სკაიპთან, ფეისბუქთან და ა.შ.). ამ შემთხვევაში მოსწავლეებისათვის ლაპარაკის პროცესი უფრო სახალისო, საინტერესო და შედეგიანი გახდებოდა.

მეთოდის შერჩევისა და ტესტირების შედეგად გამოვლენილი გაბმული ლაპარაკის დაბალი უნარის მქონე მოსწავლეთა ჯგუფში ინტერვენციისა და ერთი თვის ჩართული დაკვირვების შემდეგ ჩავატარე შუალედური დიაგნოსტიკური ტესტირება.

მაინტერესებდა გამეგო რამდენად გაუმჯობესდა რისკის ჯგუფში მყოფი მოსწავლეების გაბმული ლაპარაკის უნარი.


შუალედური ტესტირება



შედეგებმა აჩვენა, რომ კვლევაში მონაწილე შერჩეულ მოსწავლეთა გაბმული ლაპარაკის უნარი, როგორც მოსალოდნელი იყო, გაუმჯობესდა. გაიზარდა მაღალი უნარის მქონე მოსწავლეთა რაოდენობაც 37,5%-ამდე. თუმცა გამოიკვეთა ისიც, რომ

უმნიშვნელოდ გაუმჯობესდა იმ მოსწავლეთა გაბმული ლაპარაკის უნარი, რომლებიც მხოლოდ საგაკვეთილო პროცესში ერთვებოდნენ ლაპარაკის უნარის გასაუმჯობესებელ აქტივობებში.


საბოლოო დიაგნოსტიკური ტესტირება



სადიაგნოსტიკო ტესტირებამ ცხადად აჩვენა მეთოდის გამოყენების დადებითი ეფექტი. კვლევაში მონაწილე გაბმული ლაპარაკის დაბალი უნარის მქონე მოსწავლეთა რაოდენობა 75%-დან 12,5%-მდე შემცირდა, საშუალო უნარის მქონე მოსწავლეთა რაოდენობა 25%-იდან 37,5%-ამდე გაიზარდა. ამავე დროს გაბმული ლაპარაკის მაღალი უნარი განუვითარდა კვლევაში ჩართულ მოსწავლეთა 50% -ს.

მშობელთა გამოკითხვა ბოლო ეტაპზე (იხ.დანართი 2)

მშობელთა საბოლოო გამოკითხვის დროს კითხვაზე – თქვენი შვილის გაბმული ლაპარაკის უნარი თუ გაუმჯობესდა? მშობელთა სამოცდათხუთმეტმა პროცენტმა უპასუხა



დადებითად, ოცდახუთი პროცენტს მიაჩნია, რომ ნაწილობრივ გაიუმჯობესა ქართულად ლაპარაკის უნარი მისმა შვილმა, უარყოფითი პასუხი მშობლების მხრიდან არ დაფიქსირებულა.

თავი VI

ინტერვენცია

მშობელთა წინასწარი გამოკითხვისა და დიაგნოსტიკური ტესტირების ანალიზის შედეგად მოვახდინე პრობლემის იდენტიფიცირება. შემდეგ დავიწყე ლიტერატურის გაცნობა, იმისათვის, რომ მეპოვა მეთოდი, რომელიც მოსწავლეებს სწრაფად და შედეგიანად დაეხმარებოდა ქართულად გაბმული ლაპარაკის უნარის განვითარებაში. აქტივობა უნდა ყოფილიყო მოსწავლეთა შესაძლებლობებისა და სურვილების გათვალისწინებით მარტივად შესასრულებელი, საინტერესო, სახალისო, რათა მოსწავლეებს სახლში საშინაო დავალების დამოუკიდებლად შესრულების სურვილი და მაღალი მოტივაცია ჰქონოდათ.

ლიტერატურაში კიდევ ერთხელ ყურადღებით გავეცანი გაბმული ლაპარაკის უნარის გასაუმჯობესებელ მეთოდებსა და საშუალებებს. როგორც ვიცით, ლაპარაკის უნარ-ჩვევის, როგორც მიზნობრივი უნარ-ჩვევის განვითარება გულისხმობს ისეთ კომპეტენციას, რომლის საშუალებითაც შემსწავლელს შეუძლია გარკვეულ მიზანს მიაღწიოს უცხო ენაზე კომუნიკაციის დროს, კერძოდ, ენა გამოიყენოს ინფორმაციის გადაცემის, გაზიარებისა და ურთიერთგაგების საშუალებად.

ჩემთვის აუცილებელი გახდა იმ მიზეზების დადგენა, რომლებიც აფერხებდა, ხელს უშლიდა ქართულ ენაზე გაბმულად ლაპარაკის უნარ-ჩვევის სწრაფად განვითარებას მეშვიდე კლასში. სიტუაციის შესწავლის შედეგად სხვა შემაფერხებელ ფაქტორებთან ერთად გამოიკვეთა სახელმძღვანელოს გარკვეულწილობრივი შეუსაბამობის პრობლემა ესგ-ს წლის ბოლოს მისაღწევ შედეგებთან ქართულ, როგორც მეორე ენაში გაბმული ლაპარაკის კომპეტენციაში. მიუხედავად თემატიკასა და სავარჯიშოთა მრავალფეროვნებისა, სახელმძღვანელოში ძალიან მცირე, თითქმის უმნიშვნელო, დოზით არის შეტანილი რეალური საკომუნიკაციო სიტუაციების თემატიკა. შესაძლოა, მოსწავლე ფლობდეს ლექსიკურ მარაგსა და გრამატიკულ წესებს, მაგრამ ვერ ახერხებდეს

კონკრეტულ ენობრივ ქმედებებს. სასწავლო პროცესის ერთ-ერთი ძირითადი რესურსი სახელმძღვანელო მოსწავლეს სწორედ ენობრივი ქმედებების, მათ შორის, გაბმული ლაპარაკის უნარ-ჩვევის გამომუშავებაში უნდა ეხმარებოდეს.

თანამედროვე მეთოდთა კი ცდილობს, ლაპარაკის უნარ-ჩვევის განვითარებისთვის საგაკვეთილო, მართულ სასწავლო პროცესში გადმოიტანოს არამართული სასწავლო გარემოს უპირატესობები ბუნებრივი, რეალური საკომუნიკაციო სიტუაციის სიმულირებით. რა თქმა უნდა, გაკვეთილზე ხდება ლექსიკის, გრამატიკის, მოსმენისა და ლაპარაკის უნარ-ჩვევის გავარჯიშება, მაგრამ ეს სხვა სფეროა და სხვა სფეროა რეალური კომუნიკაცია, რომელიც მიზნად ისახავს გარკვეული მიზნის მიღწევას თანამოსაუბრესთან საუბრისას.

ჩემი მიზანი, რეალობიდან გამომდინარე, იყო ისეთი მეთოდის პოვნა, რომელის დახმარებითაც მოსწავლეები საშინაო დავალებას დამოუკიდებლად, მარტივად და ხალისით შეასრულებდნენ სახლში და თუ მშობლებისთვისაც საინტერესო და სახალისო იქნებოდა პროცესში ჩართვა, მით უფრო მაღალ შედეგზე გავიდოდით. ამიტომ კვლევისათვის შევარჩიე რეალური საკომუნიკაციო სიტუაციის სიმულირების მეთოდი, კერძოდ, 1. სიტუაციური დიალოგის მეთოდი და 2. მარტივი სიტუაციური კლიშეები და ენობრივი კონსტრუქციები.

მეთოდის გამოყენების ეტაპები:

1. შევარჩე ავთენტიკური სიტუაციური კლიშეები/ფრაზები, რომელთა გამოყენება მოსწავლეებს სისტემატურად უწევთ კლასში;
2. შევადგინე ცხრილები - 1. ცხრილი N1 „ვლაპარაკობ სკოლაში ქართულად“, რომელშიც ჩავწერე ბავშვის სახელი და გვარი, სასწავლო პროცესში გამოსაყენებელი კლიშეები/ფრაზები, რომლის გვერდით გრაფაში იწერება აღნიშვნა, რამდენჯერაც გამოიყენებს მას მოსწავლე (დანართი 4.1); 2. ცხრილი N2 „ვლაპარაკობ სკოლის გარეთ ქართულად“, რომელშიც ასევე ჩავწერე ბავშვის სახელი და გვარი, ჩვეულებრივ ცხოვრებისეულ სიტუაციებში გამოსაყენებელი კლიშეები/ფრაზები, რომლის გვერდით გრაფაში იწერება აღნიშვნა, რამდენჯერაც გამოიყენებს მას მოსწავლე (დანართი 4.2);
4. მშობელი შეძლებისდაგვარად აკვირდება ცხრილში წარმოდგენილი კლიშეების/ფრაზების მოსწავლის მიერ რეალურ სიტუაციებში გამოყენების სიხშირეს და მონაცემები შეაქვს ცხრილში;
5. რამდენიმე დღის განმავლობაში მეორდება პროცესი, შედეგები ფიქსირდება ცხრილში, მოსწავლე ხედავს წინსვლას. ეს ამაღლებს მის მოტივაციას, უფრო ხშირად და თავისუფლად, შეცდომის შიშის გარეშე ილაპარაკოს ქართულად.

6. შევარჩიე წასაკითხი მასალა იაკობ გოგებაშვილის საგანმუშაოებიდან მცირე ზომის სახალისო მოთხრობები. შერჩევის დროს გავითვალისწინე მოსწავლეთა წინარე ცოდნა-ლექსიკური მარაგი, ინტერესები, შესაძლებლობები, კვლევის მიზანი და შესაბამისად მოვახდინე მოთხრობების ადაპტირება(დანართი 5).

I ინტერვენცია

კვლევის შედეგად იდენტიფიცირებული ერთ-ერთი პრობლემა ის არის, რომ ჩემს მოსწავლეებს სკოლაში მხოლოდ ქართული ენის საგაკვეთილო პროცესში, წრის მეცადინეობებსა და ქართული ენის ღონისძიებებში მონაწილეობის დროს ეძლევათ ქართულ ენაზე გაბმული ლაპარაკის უნარის განვითარების შესაძლებლობა. სხვა საგაკვეთილებსა და შესვენებებზე ისევ მშობლიურ ენაზე საუბრობენ.

მიზნად დავისახე ესგ-ს სტანდარტის კრიტერიუმის-ქ.მ.VII.17. მოსწავლეს შეუძლია ინტერაქციაში მონაწილეობის მიღება -მოთხოვნების შესრულება. კერძოდ, მოსწავლე

1. სვამს და პასუხობს კითხვებს ნაცნობ თემატიკაზე;
2. სათანადოდ რეაგირებს თანამოსაუბრეთა რეპლიკებზე;
3. ქართულ ენაზე მიმართავს მასწავლებელს, კლასელებს სასწავლო პროცესში წარმოქმნილ საჭიროებებთან დაკავშირებით.

ამიტომ გადავწყვიტე საგაკვეთილო პროცესში მარტივი სიტუაციური კლიშეებისა და ენობრივი კონსტრუქციების მაქსიმალურად გამოყენება. ამისათვის სტრატეგია „ვლაპარაკობ სკოლაში ქართულად“ წარმატებით განსახორციელებლად შევადგინე მარტივი ავთენტური სიტუაციური კლიშეები/ფრაზები, რომლებსაც მოსწავლეები სკოლაში გამოიყენებდნენ ყველა შესაძლო შემთხვევაში და ცხრილში აღნიშნავდნენ გამოყენების სიხშირეს. მოსწავლეები აქტიურად, ხალისით და ინტერესით ჩაერთნენ პროცესში.

ჩემს მოსწავლეებს სკოლის გარეთ კიდევ უფრო მწირი პრაქტიკული გარემო აქვთ ქართულ ენაზე გაბმული ლაპარაკის უნარის განვითარებისათვის. ამ პრობლემის გადასაჭრელად ერთ-ერთი ყველაზე მოქნილი საშუალებაა სოფელში შემოსულ ქართულენოვან მყიდველ-გამყიდველებთან კომუნიკაცია. მოსწავლეები ხალისით ეკონტაქტებიან სოფელში მოსულ პროდუქტისა თუ ტანსაცმლის გამყიდველებს, თუმცა ვერ ახერხებდნენ შესწავლილი ქართული სიტყვების მიზნობრივად და წარმატებით

გამოყენებას. ამას ადასტურებს მშობელთა გამოკითხვაც. ამიტომ სტრატეგია „ვლაპარაკობ სკოლის გარეთ ქართულად“ წარმატებით განსახორციელებლად შევადგინე მარტივი ავთენტიკური სიტუაციური კლიშეები/ფრაზები, რომლებსაც მოსწავლეები გამოიყენებდნენ ყველა შესაძლო შემთხვევაში და ცხრილში აღნიშნავდნენ გამოყენების სიხშირეს. მშობლები აქტიურად, ხალისით და ინტერესით ჩაერთნენ პროცესში. მათ თავად დაიწყეს აქტიურობა შვილების უნარების გამოსაყენებლად სავაჭრო სიტუაციებში. მოსწავლეები, ხედავდნენ რა, მშობელთა მაღალ მოტივაციასა და ინტერესს, უფრო მეტი მონდომებით ასრულებდნენ ამ საშინაო დავალებას.

II ინტერვენცია


ქვემოთ აღწერილი ინტერვენციის საშუალებით პირველი ინტერვენციის აქტივობებს უნდა შეესრულებინა ესგ-ს სტანდარტის კრიტერიუმის - **ქ.მ.VII.20. მოსწავლეს შეუძლია საბაზო ენობრივი უნარ-ჩვევების ფუნქციურად გამოყენება** - მოთხოვნები, კერძოდ, მოსწავლემ უნდა შეძლოს

1. საუბრის მიზნის, ადრესატისა და კონტექსტის გათვალისწინებით აირჩიოს და სათანადოდ გააფორმოს შესაბამისი სტილი;
2. ინტერაქციის წარმართვისას შეარჩიოს საკომუნიკაციო სიტუაციის შესატყვისი ენობრივი კონსტრუქციები და ფორმულები, კლიშეები;
3. კითხვის დასმის, თხოვნის, ბრძანებისა და გრძნობების გადმოცემისას დაიცვას სიტყვათა რიგი და ამ მოდალობებისათვის დამახასიათებელ ინტონაცია;

ლაპარაკის კომპეტენციის განვითარება მოსმენის კომპეტენციისაგან დამოუკიდებლად თითქმის შეუძლებელია. დამოუკიდებლად თითქმის შეუძლებელია. იმისათვის, რომ მოსწავლეებს კლიშეებისა და ფრაზების გამოყენების დროს სტილი, ინტონაცია, მახვილი, მოდალობა სწორად შეერჩიათ და გამოეყენებინათ, საჭირო იყო, მოესმინათ აუდიო ჩანაწერი ან ენახათ ფილმი ან ვიდეო ჩანაწერი, გაეანალიზებინათ და მაგალითი გაედღოთ. ამ მიზნის მისაღწევად გაკვეთილზე ვიყენებდი მოსმენის აქტივობებს(ჯეოფლის საიტი.....)

დიაგნოსტიკური ტესტირების შედეგებმა აჩვენა, რომ მოსწავლეთა მიღწევები საგრძნობლად გაუმჯობესდა. კითხვაზე „ამჩნეთ თუ არა თქვენი შვილის ქართულად მეტყველების უნარის გაუმჯობესებას კონკრეტული საშინაო დავალების შესრულების შედეგად?“, მშობელთა 50%-

მა გასცა პასუხი „დიახ“, 25%-მა უპასუხა „ნაწილობრივ“, პასუხი „არა“ დააფიქსირა მშობელთა 25%-მა.



III ინტერვენცია

ერთ-ერთი იმ მიზეზთაგანი, რომელიც სრულფასოვნად ვერ უწყობს ხელს ქართულ ენაზე გაბმულად ლაპარაკის უნარ-ჩვევის სწრაფად განვითარებას მეშვიდე კლასში, გამოიკვეთა სახელმძღვანელოს გარკვეულწილობრივი შეუსაბამობის პრობლემა ესგ-ს წლის ბოლოს მისაღწევ შედეგებთან ქართულ, როგორც მეორე ენაში გაბმული ლაპარაკის კომპეტენციაში. მიუხედავად თემატიკასა და სავარჯიშოთა მრავალფეროვნებისა, სახელმძღვანელოში ძალიან მცირე დოზით არის შეტანილი მარტივი ენით დაწერილი მცირე ზომის საინტერესო, ცხოვრებისეული თემატიკის მოთხრობები, როგორც ამბები, რომლებიც ჰგავს მოსწავლეთა ცხოვრებისეულ სიტუაციებს-თავს გადამხდარ, ნანახ, გაგონილ ამბავს. ისინი საინტერესო, შთამბეჭდავი, მიმზიდველი და სახალისოა. არ გამოიწვევს შიშს, ჩაკეტილობას, მოტივაციის დაქვეითებას ან აგრესიას ამ მოთხრობების საკითხვისა და გადმოცემის დავალება. ასეთ მოთხრობებზე მუშაობა მნიშვნელოვნად ეხმარება მოსწავლეს გაბმული ლაპარაკის კომპეტენციის გაუმჯობესებაში. დავიმოწმებ სტანდარტს ესგ-დან:

ქ.მ.VII.18. მოსწავლეს შეუძლია გაბმულად ლაპარაკი;


შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- ჰყვება თავს გადამხდარ, გაგონილ, ნანახ ამბავს;
- გადმოსცემს ნანახი ფილმის შინაარსს.(ესგ. გვ.....)

ამიტომ ინტერვენციის -„ვლაპარაკობ სკოლაში ქართულად“ და „ვლაპარაკობ სკოლის გარეთ ქართულად“ - პარალელურად ვახორციელებდი შემდეგ ინტერვენციას: მოსწავლეებს

დავალებად ვაძლევდი, თხრობით გადმოეცათ წაკითხულის შინაარსი საკუთარი სიტყვებით. იმავდროულად გაეხსენებინათ საკუთარი ან ახლობლის საინტერესო თავგადასავალი და მოეთხროთ კლასში. აქტივობამ დიდი ინტერესი გამოიწვია. წასაკითხი მასალა შევარჩიე იაკობ გოგებაშვილის საგანძურიდან მცირე ზომის სახალისო მოთხრობები. შერჩევის დროს გავითვალისწინე მოსწავლეთა წინარე ცოდნა-ლექსიკური მარაგი, ინტერესები, შესაძლებლობები, კვლევის მიზანი და შესაბამისად მოვახდინე მოთხრობების ადაპტირება(დანართი 5). რა თქმა უნდა, ამ ინტერვენციის წარმატებით განსახორციელებლად ვატარებდი მიზნობრივად დაგეგმილ გაკვეთილებს.

შედეგი მივიღე ასეთი: მოსწავლეები ხალისით ასრულებდნენ დავალებებს. გაუმჯობესდათ ქართულ ენაზე ამბის გადმოცემის უნარ-ჩვევა, რა თქმა უნდა, კვლევის დასაწყისში დაფიქსირებულ მდგომარეობასთან შედარებით .



IV ინტერვენცია

ესგ-ს სტანდარტი-ქ.მ.VII.17. მოსწავლეს შეუძლია ინტერაქციაში მონაწილეობის მიღება-პირდაპირ მიგვითითებს შემდეგზე: „მოსწავლე მონაწილეობს როლურ თამაშებში, სიმულაციურ ავთენტიკურ სიტუაციებში (შეხვედრა ქუჩაში, მარშრუტის ახსნა, ტელეფონით კონკრეტული ინფორმაციის მოპოვება და სხვა)“.

ამ მოთხოვნების შესასრულებლად მოსწავლეებთან ერთად შევადგინეთ დიალოგები როლური თამაშებისთვის, სიმულაციური სიტუაციებისთვის. მაგალითად: დიალოგი ბანკში/ავტოსადგურის სალაროსთან/მაღაზიაში/ტაქსის მძღოლთან/ექიმთან/პროდუქტის ან ტანსაცმლის გამყიდველთან/ნაყინის გამყიდველთან/კაფეში/რესტორანშიდასხვა. თემატიკის შერჩევისას მოსწავლეები თავად იჩენდნენ ინიციატივას. ეს უფრო საინტერესოს ხდიდა პროცესს. მოსწავლეები ხალისით სწავლობდნენ, ინაწილებდნენ და

თამაშობდნენ როლებს. შედეგად კიდევ უფრო გაუმჯობესდა და მრავალფეროვანი გახდა მოსწავლეთა ქართულ ენაზე გაბმულად ლაპარაკის უნარ-ჩვევები.

საბოლოო დიაგნოსტიკური ტესტირების(იხ. დანართი 6) შედეგებმა აჩვენა, რომ გაუმჯობესდა ყველა იმ მოსწავლის გაბმული ლაპარაკის უნარი, ვინც არამხოლოდ გაკვეთილზე მონაწილეობდა აქტივობებში, არამედ სახლშიც პასუხისმგებლობით ასრულებდა დავალებას. ხოლო ვისაც მშობლები აქცევდნენ განსაკუთრებულ ყურადღებას, მათი უნარები უფრო მეტად გაუმჯობესდა.

ბოლო ეტაპზე მშობელთა გამოკითხვამაც აჩვენა, რომ მოსწავლეთა გაბმული ლაპარაკის უნარი საგრძნობლად განვითარდა, თუმცა სრულფასოვან განვითარებამდე კიდევ გრძელი გზა გვაქვს გასავლელი.

ინტერვენციის შედეგები

კვლევის საწყის ეტაპზე მშობელთა გამოკითხვისა და დიაგნოსტიკური შეფასების შედეგების ანალიზის შედეგად გამოიკვეთა, რომ კლასში მოსწავლეების უდუდეს ნაწილს არ აქვს განვითარებული ქართულ ენაზე გაბმული ლაპარაკის უნარ-ჩვევები.

ინტერვენციისთვის გამოვიყენე *როლური თამაშისა და დიალოგის მეთოდი* და არამართული სასწავლო გარემოს უპირატესობები ბუნებრივი, რეალური საკომუნიკაციო სიტუაციის სიმულირებით გადმოვიტანე მართულ სასწავლო პროცესში.

საბოლოო ტესტირებით დადასტურდა, რომ ასეთი მიდგომა კარგად უვითარებს შემსწავლელს გაბმული ლაპარაკის უნარ-ჩვევას. მოსწავლეებს გაუქრათ ლაპარაკის დროს შეცდომის დაშვების შიში, გახდნენ უფრო თავისუფლები, გაიზარდა მათი თვითშეფასება, აუმაღლდათ სწავლის მოტივაცია. განუვითარდათ ქართულად ლაპარაკის კომპეტენცია. ეს ნიშნავს, რომ არამართული სასწავლო გარემოს უპირატესობები ბუნებრივი, რეალური საკომუნიკაციო სიტუაციის სიმულირებით მართულ სასწავლო პროცესში გადმოტანა კარგი საშუალებაა ლაპარაკის კომპეტენციის განვითარებისათვის.

მიგნებები და რეკომენდაციები

კვლევის შედეგად რეკომენდაციებმა შემდეგი სახე მიიღო: 1. არამართული სასწავლო გარემოს უპირატესობების ბუნებრივი, რეალური საკომუნიკაციო სიტუაციის

სიმულირებით მართულ სასწავლო პროცესში გადმოტანა კარგი საშუალებაა ლაპარაკის კომპეტენციის განსავითარებლად.

2. მოსწავლის მონაწილეობა როლურ თამაშებში, სიმულაციურ სიტუაციებში მოსწავლეს უფრო გაბედულს, თამამს ხდის, უმაღლებს თვითშეფასებასა და მოტივაციას და ამ გზით ვითარდება მოსწავლის ლაპარაკის უნარ-ჩვევები.

3. ამ მეთოდის გამოყენება სასწავლო პროცესს ხდის საინტერესოს, სახალისოს და შედეგიანს, მოსწავლისათვის იქმნება ემოციურად და ინტელექტუალურად უსაფრთხო გარემო, რაც მნიშვნელოვანი მირწევების განმაპირობებელია.

4. ამ მეთოდის გამოყენება შესაძლებელია სწავლების ნებისმიერ საფეხურზე შემსწავლელთა ინტერესებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით.

5. ეს მეთოდი ასევე წარმატებით შეიძლება გამოიყენოთ სსსმ და შშმ მოსწავლეებისთვისაც.

6. სასარგებლო იქნება, თუ გავცდებით სახელმძღვანელოს ფარგლებს და მოსწავლეებს ვამუშავებთ მათი ინტერესების, საჭიროებებისა და შესაძლებლობების ფარგლებში ესგ-ს შედეგების მისაღწევად ლაპარაკის კომპეტენციაში .

კვლევის ნაკლოვანებები

კვლევის ნაკლოვანებად მიმაჩნია ის, რომ მოსწავლეთა და მშობელთა ნაწილი პასიური იყო აქტივობების განხორციელებისას, ძირითადად, სახლში დამოუკიდებლად შესასრულებელი აქტივობების შემთხვევაში. სასურველი იყო, მქონოდა შესაძლებლობა დაკვირვებების წარმოებისა საშინაო დავალებების შესრულების დროს და მოსწავლეთა სრული ჩართულობის მიღწევა. ასეთ შემთხვევაში კიდევ უფრო კარგ შედეგს მივიღებდით, მაგრამ ეს დიდწილად შეუძლებელი იყო. მიუხედავად ამ ნაკლოვანებისა, ვთვლი, რომ შედეგები რეალურია და მისაღწევია სხვა მასწავლებლების პრაქტიკაშიც.

დასკვნა

ლაპარაკის უნარ-ჩვევის განვითარებისთვის საგაკვეთილო, მართულ სასწავლო პროცესში არამართული, არაფორმალური სასწავლო გარემოს უპირატესობების გადმოტანა ბუნებრივი, რეალური საკომუნიკაციო სიტუაციის სიმულირებით და დანერგვა მართულ სასწავლო პროცესში, მოსწავლეებში გაბმული ლაპარაკის უნარის

განვითარებას ემსახურებოდა. საინტერესო და სახალისო გახადა სწავლის პროცესი, აამაღლა მოსწავლეთა შინაგანი მოტივაცია. მშობელთა გამოკითხვებიდან გამომდინარე, გაუმჯობესდა მოსწავლეთა ქართულად ლაპარაკის უნარ-ჩვევა. მოსწავლეთა მხრიდან აქტიური და მოტივირებული ჩართულობა მეტყველებს იმაზე, რომ მოსწავლეებს მოეწონათ ამ მიდგომებით მუშაობა.

აღნიშნული მეთოდის გამოყენება დაეხმარება მასწავლებლებს ქართულ ენაზე გაბმული ლაპარაკის უნარ-ჩვევის განვითარებაში.

რეფლექსია ჩატარებულ კვლევაზე

როდესაც კვლევა დავასრულე, ანგარიში წარუდგინე ქართული, როგორც მეორე ენის კათედრას და შეფასების ჯგუფის წევრებს. კვლევის შედეგებზე გავაკეთე პრეზენტაცია. პრეზენტაციას კოლეგებმა ყურადღებითა და ინტერესით მოუსმინეს და განაცხადეს, რომ ეს (საკუთარი პრაქტიკის კვლევა) ახალიც იყო მათთვის და საინტერესოც. მათ აღნიშნეს, რომ საკვლევი პრობლემა ნამდვილად აქტუალურია. დაინტერესდნენ კვლევის შედეგებით. დამისვეს ბევრი შეკითხვა. ბოლოს დაიწყო მსჯელობა იმასთან დაკავშირებით, თუ რა გზებითა და საშუალებებით შეიძლება მოსწავლეებში ქართულ ენაზე გაბმულად ლაპარაკის უნარის განვითარება. კვლევის თითოეული ეტაპი განვიხილეთ დეტალურად. მათ კითხვებს ვპასუხობდი ამომწურავად, რათა უფრო ნათელი გამეხადა მათთვის ჩემი კვლევის მნიშვნელობა. თითქმის ყველა პედაგოგმა გაიხსენა საკუთარი მცდელობები მოსწავლეთა ქართულად ლაპარაკებასთან დაკავშირებით. იყო საინტერესო რჩევები, რომლებსაც მომავალში აუცილებლად გავითვალისწინებ. მასწავლებლებმა გამოთქვეს აზრი, რომ უკეთესი იქნებოდა უფრო მრავალფეროვანი ინტერვენციების განხორციელება და, ისიც, რომ სისტემატურად გამეცნო მათთვის კვლევის მიმდინარეობა, რათა უკეთ ჩასწვდომოდნენ მის არსს.

საბოლოოდ, ჩემთვისაც, მთელი კვლევის პროცესი იყო ძალიან საინტერესოც და რთულიც. საინტერესო იყო არა მხოლოდ მოსწავლეთა შედეგების მიღწევების ხაზების მართვა, არამედ ჩემი, როგორც პედაგოგის შედეგის მიღწევის ხაზის მიზანმიმართული მართვაც. ამ პროცესში იყო სირთულეები თავისი უჩინარი წახნაგებით, რომელთა დანახვა და გათვალისწინება საჭირო იყო კვლევის დასაწყისშივე, რათა უკეთესი, ეფექტური

შედეგი მიღწეულიყო უფრო სწრაფად. სირთულეები დაკავშირებული იყო რესურსებთან, კომუნიკაციასთან, დროსთან, სივრცესთან და სხვა. თუმცა, ვთვლი, რომ შეძლებისდაგვარად მოვახერხეთ მათი დაძლევა და შედეგის მიღწევა. სულ სხვა თვალთ შევხედე ჩემს სასკოლო მოღვაწეობას და აღმოვაჩინე დეტალები, რომელთა შეცვლა-დახვეწაზეც მომიწევს მუშაობა მომავალში.

ჩემი აზრით, ჩემ მიერ ჩატარებული კვლევა ქართულ ენაზე გაბმულად ლაპარაკის საკითხებზე, არ არის ინტერესს მოკლებული. ეს, შეიძლება ითქვას, ჩემი მე-7 კლასში 2018-2019 საწავლო წელს მუშაობის ერთგვარი მოკლე შეჯამება და შეფასებაა.

ვფიქრობ, ჩემი კოლეგების რეკომენდაციებიც მნიშვნელოვანია ჩემთვის და ჩემი პედაგოგიური წინსვლისთვის, რასაც აუცილებლად გავითვალისწინებ ჩემი შემდგომი პედაგოგიური პრაქტიკის კვლევის განხორციელებისას და, ასევე, ვიმედოვნებ, რომ მოცემულ ნაშრომს გამოიყენებენ ჩემი კოლეგებიც თავიანთ პრაქტიკაში.

ბიბლიოგრაფია

1. მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის გზამკვლევი (ნაწილი 2); მ. ინასარიძე, ს. ლობჯანიძე, მ. რატიანი, ი. სამსონია http://tpdc.gov.ge/uploads/pdf_dokuments/gzamkvlevi-2016-Web.pdf
2. თინათინ კილურაძე, ეკატერინე ქუთათელაძე - „ქართულის, როგორც უცხო ენის, სწავლების მეთოდიკა“-თეორიული კურსი.
3. კარგი სკოლა ვებ პორტალი <http://kargiskola.ge/SC/eaccess1.php#>
4. მელიქიშვილი მ. 2013, ბავშვის განვითარების ასაკობრივი თავისებურებები, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი.
5. „როგორ შევუწარმოთ ბავშვს სკოლისა და სწავლისადმი ინტერესი“, ქეთევან ოსიაშვილი, ჟურნალი „მასწავლებელი“ #2, 2015 წ.
6. მაია ინასარიძე, „მეთოდიკური მითითებები ქართულის როგორც მეორე ენის მასწავლებლებისთვის“ (სტატია) ჟურნალი „მასწავლებელი“ 11 მარტი, 2013 წ.

7. ნათია ქათამაძე, „ზეპირმეტყველების უნარის განვითარება უცხო ენის სწავლების პროცესში“ (სტატია) ჟურნალი „მასწავლებელი“, 16 თებერვალი, 2016წელი.

8. ნინო ლომიძე, ზეპირმეტყველების განმავითარებელი რამდენიმე აქტივობა საშუალო საფეხურისთვის (სტატია) ჟურნალი „მასწავლებელი“, 6 ნოემბერი, 2015წ.

9. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მიერ 2011 წლის 11 მარტს №36/ნ ბრძანებით დამტკიცებული 2011–2016 წლების ეროვნული სასწავლო გეგმა, ქართული ენა და ლიტერატურა (13.03.2018)

დანართები

დანართი 1.

გამოკითხვა VII კლასის მშობლების პრობლემის იდენტიფიცირების საწყის ეტაპზე

მოგესალმებით!

მე ვარ სსიპ ახალქალაქის მუნიციპალიტეტის სოფელ დადუმის საჯარო სკოლის ქართული, როგორც მეორე ენის მე-7 კლასის მასწავლებელი ცირა მამაცაშვილი. ვატარებ პრაქტიკულ კვლევას მოსწავლეებში გაბმული ლაპარაკის უნარის განვითარების მიზნით. თქვენი, როგორც მშობლების მონაწილეობა ძალიან მნიშვნელოვანია პროექტის წარმატებისთვის. თქვენგან მიღებული ინფორმაცია ანონიმურია. არაა საჭირო თქვენი სახელისა და გვარის მითითება.

1. თქვენი შვილი ლაპარაკობს ქართულად სახლში?

☐ დიახ ☐ იშვიათად ☐ არა

2. სკაიპი კარგი ელექტრონული რესურსია?

☐ დიახ ☐ ნაწილობრივ ☐ არა

3. თქვენი შვილი ძირითადად რა ტიპის დავალებას ასრულებს სახლში ხალისით?

☐ ასრულებს წერით დავალებას

☐ ვარჯიშობს ტექსტის კითხვაში

☐ ვარჯიშობს წაკითხულის მოყოლაში

4. თქვენი შვილი ხალისით ასრულებს დავალებას ზეპირმეტყველებაში(მონოლოგი, დიალოგი სკაიპში)?

☐ დიახ

☐ არა

5. რა დროს უთმობს თქვენი შვილი საშინაო დავალების შესრულებას ლაპარაკში?

6. სჭირდება თუ არა,თქვენს შვილს, სხვისი დახმარება/პარტნიორობა ლაპარაკში საშინაო დავალების შესრულებისას?

☐ დიახ

☐ ნაწილობრივ

☐ არა

7. რა მეთოდს მიმართავთ, იმ შემთხვევაში, თუ ბავშვს ეზარება/არ სიამოვნებს საშინაო დავალების შესრულება? (ეფერებით, უბრაზდებით, რაიმეს ჰპირდებით, სხვ.)

8. რა უფრო უჭირს საშინაო დავალების შესრულებისას ?

☐ მონოლოგის შესრულება

☐ დიალოგი სკაიპით

☐ საზეპირო მასალის დასწავლა

9. ელაპარაკებით თუ არა შვილს ქართულად? თუ ელაპარაკებით, რა დროს უთმობთ ამ პროცესს?

☐ საათი

☐ 3წუთი

☐ 3წუთზე ნაკლები

დანართი 2.

კითხვარი მშობელთა გამოსაკითხად კვლევის ბოლო ეტაპზე

მოგესალმებით!

მე ვარ სსიპ ახალქალაქის მუნიციპალიტეტის სოფელ დადემის საჯარო სკოლის ქართული, როგორც მეორე ენის მე-7 კლასის მასწავლებელი ცირა მამაცაშვილი. ვატარებ პრაქტიკულ კვლევას მოსწავლეებში გაბმული ლაპარაკის უნარის განვითარების მიზნით. თქვენი, როგორც მშობლების მონაწილეობა ძალიან მნიშვნელოვანია პროექტის წარმატებისთვის.

თქვენგან მიღებული ინფორმაცია ანონიმურია. არაა საჭირო თქვენი სახელისა და გვარის მითითება.

1. თქვენი შვილი ლაპარაკობს ქართულად სახლში/სახლის გარეთ?

☐ დიახ ☐ იშვიათად ☐ არა

2. სკაიპი კარგი ელექტრონული რესურსია?

☐ დიახ ☐ ნაწილობრივ ☐ არა

3. თქვენი შვილი ძირითადად რა ტიპის დავალებას ასრულებს სახლში ხალისით?

☐ ვარჯიშობს ტექსტის ხმამაღლა და გამომეტყველებით კითხვაში

☐ ვარჯიშობს წაკითხულის მოყოლაში

☐ საუბრობს ქართული ენის მცოდნე ახლობელთან ქართულად სკაიპით

☐ საუბრობს ქართულენოვან მყიდველ-გამყიდველებთან ქართულ ენაზე ვაჭრობის პროცესში.

☐ უყურებს ქართულ ფილმს/ქართულად ნათარგმნ ფილმს

☐ დიალოგების(ავთენტისკური) სიმულაციებს

4. რა დროს უთმობს თქვენი შვილი საშინაო დავალების შესრულებას ლაპარაკში?

5. სჭირდება თუ არა თქვენს შვილს სხვისი დახმარება/პარტნიორობა ლაპარაკში საშინაო დავალების შესრულებისას?

☐ დიახ ☐ ნაწილობრივ ☐ არა

5. ამჩნეთ თუ არა თქვენი შვილის ქართულად მეტყველების უნარის გაუმჯობესებას კონკრეტული საშინაო დავალების შესრულების შედეგად?

☐ დიახ ☐ ნაწილობრივ ☐ არა

დანართი 4.1. „ვლაპარაკობ სკოლაში სკოლაში“

მეთოდი - მარტივი სიტუაციური კლიშეები და ენობრივი კონსტრუქციები.

მოსწავლის სახელი და გვარი:-----

დღე ფრაზა	ორშაბათი	სამშაბათი	ოთხშაბათი	ხუთშაბათი	პარასკევი
-კარზე აკაკუნებენ. შეიძლება, ვნახო, ვინ არის?					
-სედას ფლომასტერები /სახატავი ფურცელი/ ისტორიის წიგნი/საშლელი უნდა. შეიძლება მივცე?					
-შეიძლება, შემოვიდე?					
-შეიძლება, დავჯდე?					
-შეიძლება გარეთ გავიდე?					
-დაფასთან გამოვალ და დავწერ!					
-დაფასთან გამოვალ და გაკვეთილს მოვყვები!					
-შეიძლება, წყალი დავლიო?					
-საშინაო დავალება ვერ შევასრულე.					
-მე ვიცი გაკვეთილი.					
-ჟორას უნდა გარეთ გასვლა. შეიძლება, გარეთ გავიდეს?					
-ცუდად ვარ, შეიძლება სახლში წავიდე?					
-შეიძლება, ღუმელში შეშა შევუკეთო?					
-რა ქულა მივიღე?					
-მზე მაწუხებს. შეიძლება					

სედას გვერდით დავჯდე?					
-შეიძლება კალამი/წიგნი/ რვეული/ცარცი/ ფურცელი/ ფლომასტერი/ ფანქარი ავილო?					
-შეიძლება ქურთუკი გავიხადო და დავკიდო?					
--შეიძლება ქურთუკი ჩავიცვა?					
-ზარი დაირეკა, გაკვეთილი დამთავრდა. ნახვამდის.					

დანართი 4.1. „გლაპარაკობ სკოლის გარეთ ქართულად“

მეთოდი - მარტივი სიტუაციური კლიშეები და ენობრივი კონსტრუქციები.

მოსწავლის სახელი და გვარი:-----

დღე ფრაზა	ორშაბათი	სამშაბათი	ოთხშაბათი	ხუთშაბათი	პარასკევი
-დედა/მამა, ბებია, როგორ ხარ?					
-საჭმელი/პური/ყველი/ სუპი/შოკოლადი მინდა.					
-რა ღირს ერთი კოლო კიტრი/პომიდორი/ ვაშლი/ატამი/შაქარი...?					
-ძვირია, უფრო იაფად მომყიდე.					
-აწონე ხუთი კილო პომოდორი.					

-ერთი კოლო კარტოფილი ღირს ოთხმოცი თეთრი.					
-იაფია, მეტის დაკლება ადარ შეიძლება.					
-ამ ჟაკეტს/ხილს/ ბოსტნეულს... პროდუქტზე ცვლი?					
-სადაური ბოსტნეულია? - სადაური ხილია?					
-ეს ბოსტნეული და ხილი ეკოლოგიურად სუფთაა?					
-ეს ტანსაცმელი ლილოდან ჩამოიტანე თუ თურქეთიდან?					
-კიდევ როდის მიდიხარ ლილოში?					
-კიდევ როდის ჩამოხვალთ?					

დანართი 5. „ვყვები ამბავს ქართულად“

მეთოდი - წაკითხული ამბის გადმოცემა.

მცირე ზომის ადაპტირებული მოთხრობა-ამბები.

1. ორი ქაჩალი და სავარცხელი;
2. კატო და კატა;
3. თავისი თავის დასჯა;
4. ყვავი და კაჭკაჭი;
5. ალექსი და აქლემი;
6. უსუნო ყვავილი;
8. თხა და გიგო;

9. მუქთამჭამელა;

10. მოლა და ქვაბები;

დანართი 6.

შესწავლილი ფრაზებისა და კლიშეების გამოყენებით მოსწავლეების მიერ

დამოუკიდებლად შედგენილი და გათამაშებული დიალოგების შეფასების რუბრიკა

დიალოგის ავთენტურ სიტუაციასთან მსგავსების ხარისხი	დაბალი	საშუალო	მაღალი
წარმოდგენილი სიტუაციის აქტუალობა და პრაქტიკულობა	არ არის პრაქტიკული	პრაქტიკულია საშუალოდ	პრაქტიკულია და აქტუალურია
გრამატიკული და სტილისტური გამართულობა	საშუალო	კარგი	მაღიან კარგი
ზეპირი მეტყველების გამართულობა, სისწორე და გაბმულობა	უჭირს მეტყველება სწორად, გამართულად და გაბმულად	ზოგჯერ უშვებს შეცდომებს ლაპარაკის დროს	მეტყველებს სწორად, გამართულად და გაბმულად
ზეპირი მეტყველების სიჩქარე	დაბალი	საშუალო	მაღალი
იმტონაცია, ტემბრი, ემოციისა და დამოკიდებულების გამოხატვა	საშუალო	მიახლოებული	ზუსტი

1. დიალოგის ნიმუში: ვიზიტი კბილის ექიმთან

- გამარჯობა, ექიმო, შეიძლება, შემოვიდე?
- გაგიმარჯოს, მობრძანდი, რა გაწუხებს?

- კბილი მტკივა, ძალიან მტკივა. წამალი დავლიე, მაგრამ არ გაჩერდა ტკივილი.
- აბა, მაჩვენე, რომელი კბილი გტკივა?
- აი, ეს, მაღლა მარჯვენა მხარეს, ბოლოდან მეორე.
- ოოო, დიდი კარიესია. სერიოზული მკურნალობაა საჭირო.